№ IV

1891

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჟურნალ «ჯეჯილი»-სა

		გვერ.
I.	მკათათვე, ლექსი მღვიმელისა	3
II.	ნიბლია, საუმაწვილო ამბავი, თ. რაზიკაშვილისა	4
III.	მთიული, ლექსი ჯაჯისა	11
IV.	ღვთის-წყალობა, მოთხრობა გ. წერეთლისა	13
V.	ჩიტმა რა უთხრა იასა, ლექსი თ. რაზიკაშვილისა	24
VI.	დეე-გმირი გარგანტუა, ფრანგული ლეგენდა, ეკ. მ—სა	25
VII.	მეფე-ჩქარის ამბავი, ლექსი დ. მაჩხანელისა	40
VIII.	მეცოცხე პეტრიკა, ფრანგულიდამ გადმოღებული, ს. თ—სა	41
IX.	ვირი და მგელი, სალხური ლექსი	46
X.	ისრის-მასრის სანდლის ქალი, ზღაპარი	47
XI.	სამყარო, გერშტეკერის თხზულებიდამ გადმოკეთებული, ი. ბაქრაძისა	53
XII.	ჰერაკლი, ალ. ჭიჭინაძესი	69
XIII.	რას ნახავდა შაქრო სიზმარში, ს. თ—სა	74
XIV.	ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი	76
XV.	კეთილშობილური საქციელი	„
XVI.	ანდაზები, გამოცანები, ზმა, სამათემატიკო გამოცანები, შარადა და რებუსი	77

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!
ი. ფ.

№ IV

წელიწადი მეორე

ტფილისი
სტამბა ი. ს. მანსვეტოვისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 12.
1891

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою, 10 Іюня. Тифлисъ, 1891 года.

Типографія Я. А. Мансветова, Лорисъ-Мелик. ул., д. Мдивани.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკათათვე

ალა სანია ქერები
ჩამკეს, ჩათიბეს ცელითა;
ჯეჯილიც დაბურებულა...
ულოსა ჰგლეჯენ ხელითა.

**

აქამდის მწვანე ხასხასი
დღეს ოქროსავით ბრიალებს,
თავი ძირს დაუკიდნია,
«შიგ უფლის თვალი ტრიალებს».

**

გახურებულა მინდვრებში
«ჭოობუნა» და გრიალი:
გლესავ და გლესავ ნამგალოს
მახილი, ნამგლის ტრიალი.

**

ნამგალს, მთლად გააფთრებულსა,
ლურჯად გაუდის კრიალი;
გულს ახალისებს მუშისას
შემოსულ ყანის შრიალი.

**

სჭრიან და სჭრიან ხელეურს—
კიდევ არ გამოლეულა;
იკურთხოს, თითო მარცვალი
ულეველ ზღვათა ქცეულა!

მღვიმელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიბლია

(საუმაწვილო ამბავი)

ადგა გაზაფხული; ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები ბატარა ნაზმა ყვავილებმა და მიესალმნენ ერთმანეთსა გძელ ძილის შემდეგ. ირგვლივ ათასნაირი მწერები აირივნენ. ჩიტებმაც მოიძებნეს ადგილი ბუდეებისათვის, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ და გამოეჩეკათ ბარტყები.

ყველაზედ მეტს ერთი ბატარა ნიბლია დახტოდა და გაფაციცებით ეძებდა რაღასაც. აგერ იპოვა ერთი ბუმბული და სიხარულით სადღაც გააქანა. დაბლა გაფოთლილ ჩირგვზედ მოსჩანდა ნაშენ-უშენი ბუდე. იქვე დაფანთხალობდა ნიბლია.

***

გავიდა ერთი კვირა. ნიბლიამ დასდო ოთხი კვერცხი და ჩაჯდა ბუდეში. ნიბლია ერთს წამსაც არა შორდებოდა ბუდეს და მუდამ იმის შიშში იყო, ვაი თუ ან მტერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამისდინოს ბუდე და ან გამიცივდეს კვერცხებიო. თუ რო-მელიმე კვერცხი გამოჩნდებოდა ფრთის ქვეშიდამ, ჩიტი მაშინვე შეაგორებდა მსრებს ქვეშ და ჩაჭუჭკავდა თბილად.

მამალი ნიბლია მუდამ თავის მეუღლის ზრუნვაში იყო: დღე დაფრინავდა მინდორში საჭმლის საზიდავად, ღამე-კი ბუჩქის შტოზედ იჯდა და ჭდარაჯობდა დედალს ნიბლიას.

საწყალი ნიბლია! ბევრს შიშს-კი გამოივლიდა ხოლმე საბრალო, როდესაც ღამე გამოელვიძებოდა და ბურანში მოესმოდა რამე ხმაურობა! ბუზის ბზუილიც-კი შეაკრთუნებდა საბრალოს! ერთ დღეს აკი მაინც კინაღამ უბედურება ეწვია.

***

დილა იყო. ცხვარი მთის კალთებზედ შეფენილიყო; მეცხვარე იჯდა და სევდიანად სალამურს აკაკანებდა. კურდღელი სარბად ჭიწკნიდა დანამულს ჯეჯილს. ტოროლა «ცას წავალას» იძახოდა. მზეს ჰირი მოეკრა მთების წვერებისათვის და ჯერ ჭალამდე ვერ ჩამოეღწია.

დედა-ნიბლია იჯდა ბუდეში და ფიქრობდა მინდორში წასულს მეუღლეზედ. უცებ ფეხის შლარტუნი მოესმა და ის ჩირგვი, სადაც ნიბლიას ბუდე იყო, ძირიანად შეინძრა.

ნიბლიამ აიღო თავი მაღლა და დაინახა ალალი, რომელიც ირგვლივ ატრიალებდა ცეცხლივით თვალებს და წვეტიანს ნისკარტს აქეთ-იქით იბრუნებდა. იმ წეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულს ევითელს ფეხებზედ კიდევ ეცხო სისხლი თავის მსხვერპლისა. ნიბლია სულ-განაბული შესცქეროდა ალალს და შიშობდა, რაძე ხმაურობით იმის ყურადღება არ მიექცია.

უცებ ფეხის ხმა მოესმა, მხარზედ თოფ-გადაკიდებული მონადირე ამოჩნდა. ალალმა გაშალა ფთები და გაუდგა ყანებით დაფენილს მინდვრებს. ნიბლიამ თავისუფლად ამოისუნთქა და სიამოვნებით ჩაყო ნისკარტი კვერცხებში.

რა კეთილი იყო ამ დროს მონადირე! ღმერთო! რომ არ მეშინოდეს, გავფრინდებოდი და დავაჯდებოდი მხარზედ ჩემს მსსნელსა! ღმერთმა დაგილოცოს გზა, ღმერთმა, ჩემო მსსნელო!—იძახოდა ნიბლია.

***

ამოვიდა მზე. ნამი შეშრა ყანებზედ. ჰეჰელები აფთხრიალდნენ ყვავილებზედ. ფუტკარიც აბზუილდა. ცოტა ხანს შემდეგ მამალი ნიბლიაც მოვიდა. მოუტანა სადილი. დედა ნიბლია ფრთებ-გაშლილი მიეგება მვირფასს მეულლეს და ცრემლ-მორეულმა დილანდელი ამბავი უკლებლივ უამბო.

დედა-ნიბლიამ მალე ბარტყებიც გამოჩიკა. იმის სიხარულს რა შეედრებოდა: დახტოდა, დაფრინავდა, გალობდა და შეჭხაროდა თავის უსუსურ ბარტყებს. მამალი ნიბლია ჩვეულებისამებრ მინდორში დაფრინავდა საჭმლისათვის. ესლა შვილებისთვის უფრო მეტი ჯაფაც მოელოდა, მაგრამ არ ემძიმებოდა იმას შვილებისათვის შრომა.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

«საწყალ კაცს ქვა ალმართში მისწევიაო», ნათქვამია. ნიბლიასაც ეგრე მოუვიდა. ერთს დილას მამალი ჩიტი საჭმელზედ წავიდა. რადგან ჯერ დილა იყო და ცივდა, ბუზებს ვერ გაებედნათ თავის საფრებიდამ გამოფრენა. კალიებიც კომიჭების ჰირებში იყვნენ მიმალულები. მამალი ნიბლია იჯდა ნარზედ და გალობდა.

მზე სიხარულით უცქერდა ჭრელს ქვეყანას. ნამები ფოთოლ-ყვავილებზედ ელავდნენ და ბრჭყვინავდნენ. ჩიტი მთლად მოეხიბლა მზეს. ალბად გრძნობდა, რომ უკანასკნელად უცქერდა ამ ქვეყნის მნათს, მაცოცხლებელს.

ალალი გაჰკვრიეო მიწას და გაჩქარებით მოცურავდა ჰაერში. ეტყობოდა, რომ იმის გულში კეთილს ადგილი არა ჰქონდა. უცებ შენიშნა ნარზედ მჯდომარე ნიბლია. სიფრთხილეს თავი მისცა და ჯერ ნელა წამოვიდა, რომ ნიბლიას არ გაეგო და არ გაფრენილიყო, მერე უცებ მოკუმშა მხრები, დაიქშუვლა და ელვასავით დაეწყდა თავზედ ნიბლიას კლანჭ-გაშლილი.

— მშვიდობით, ჩემო მშვენიერო მეუღლევ, მშვიდობით ჩემო ბაწაწინა ობლებო! ველარ მნახავთ და ველარც გნახავთ თავის დღეში! მშვიდობით მზევ! შენ გიგალობდი, შენ გიგალობებ შემდეგაც, ეგები კიდევ დიდხანს ანათო ჩემის შვილებისათვის!

ეს კიდევ სთქვა და გაკმინდა ხმა ალალის ბრჭყალებში საწყალმა ნიბლიამ. გახარებულმა ალალმა გასწია ტეისაკენ, რომ იქ შეეჭამა თავისი მსხვერპლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ალაგას, სადაც ალალმა ისადილა, სისხლით გა-ბასრული ბალახები მოსჩანდა. სიო ჭბერავდა და ათამა-შებდა ნიბლიას ჭრელს ფრთებს და ბუმბულებსა.

***

დედა ნიბლია მოუსვენრად ელოდა ამხანაგის დაბრუ-ნებას. ეხლა უფრო რაღაცა სურვილმა მოუარა იმის ნახვისამ. გული უკვნესოდა, ცრემლით ებანებოდა. გადიო-და საათები, ნიბლია-კი არა სჩანდა. დედა-ნიბლია უფრო და უფრო დაღონდა.

მოლოდინში დღეც გავიდა, ღამეც, მეორე დღეც შა-ვად გათენდა ნიბლიასათვის. არ იქმნა, ნიბლია აღარ და-ბრუნდა.

ვინ იცის, ვინ დაიტირებდა საწყალს? სამარე-კი მო-სისხლე მეჩიტიამ გაუთხარა თავის გაუმაძღარ შავს მუ-ცელში.

დედა-ნიბლია მწუხარე გულს შვილებთან ერთობდა, მაგრამ მოსვენებას-კი გული მოკლებული იყო. ეხლა თვი-თონ უნდა ეზრუნა თავის თავისათვისაც და შვილებისა-თვისაც. ხან-და-ხან დიდხანს მოუნდებოდა ხოლმე მინ-დორში დარჩენა, რადგან ავდრიან დღეში ადვილი არ იყო საჭმლის შოვნა.

***

ერთს დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლის ბიჭმა ტყი-საკენ გასწიეს, სადაც ნიბლიას ბუდე იყო. თითქმის ყვე-ლა ჩირგვი და ჯაგი გადასინჯეს, გადაბრუნეს. იცქირე-ბოდნენ ხის ფუღუროებში, ევლებოდნენ ხეებს კენწეროებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ. ბოლოს ნიბლიას ბუდეს მოადგნენ. ბავშვები ერთ-ერთ შემოეხვივნენ ბუჩქსა და დაუწყეს ჩხრეკა.

აი გამოჩნდა ბუდეც. ნიბლია ბუდეში არ სჩანდა. საჭმლის საშოვნელად იყო წასული მინდორში... ფეხის ხმაზედ ბარტყებს გამოეღვიძათ და დაიწყეს წიწინი. ბავშვები მიხვდნენ, რომ უთუოდ აქ ბუდე იქნებაო. იმ წამსვე შემოვრნენ ჯაგში. ბუდიდამ ოთხს ბარტყს გადმოეყოთ თავები და ყვითელს პირებს აღებდნენ, თითქო ბავშვებს გამარჯვებას ეუბნებიანო.

საჩქაროზედ ამოასხეს ბავშვებმა ბარტყები და სიხარულით გასწიეს სოფელში.

ბავშვებმა არ დახოცეს ბარტყები,—უნდა გავზარდოთ, გალობა ვასწავლოთო. გამოიყვანდნენ გარეულ, მოაბამდნენ ფეხებზედ ბაწარს და გაუშვებდნენ ჰაერში. საცოდავებს ეგონებოდათ, თავისუფლები ვართო, და სიხარულით გაშლიდნენ მხრებს, მაგრამ ბაწარი ისევ მიწაზედ ჩამოაგდებდა ხოლმე მხარ-გაშლილებს. მერე ბავშვები დაუწყებდნენ წევას და ათრევდნენ მიწაზედ.

ასე ასწავლიდნენ გალობას ბავშვები ჰატარა ტყვეებს, სანამ საწყლებს ბავშვების ხელში არ ამოუვიდათ სული. მერე გაიტანეს და ჭიების საჭმელად სანაგვეზე გადაყარეს.

***

სად იყო დედა-ნიბლია?

საწყალი დედა გახარებული მოფრინავდა თავის შვილებთან... მერე სად იყვნენ ბარტყები, რომ წიწინით არ მიეგებნენ დედას? სად დაიმალნენ? იქნება აღარ უყვართ თავისი მშობელი დედა, თავი დაანებეს და გაფრინდნენ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, სად არ დაფრინავდა საწყალი ნიბლია და სად არ დაეძებდა თავის შვილებს?!...

გავიდა დღე, გავიდა მეორე, მესამე; ბარტყები არსად იყვნენ...

ნიბლია კლდეებს შესჩივის,
ასმენს მთებს თავის ტირილსა,
და თან გაატანს კენესასა
ბალახის ნძრევა-ბიბინსა!

თ. რაზიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიული

ილაც ბეჩავი მთიული
ერთხელ ბარში ჩამოვიდა;
თურმე ბალი არ ენახა
და, რომ ნახა, გაუკვირდა.

—

მიიარა-მოიარა,
კარგად დაათვალიერა
და ხილიც იმდენი სჭამა,
რომ გული გამოიჯერა.

—

მერე ნიგოზს ქვეშ, ჩეროში,
გაგორდა ნებიერადა;
მოსწონდა იქაურობა,
შემკული მრავალ-ფერადა.

—

მხოლოდ ერთი რამ უკვირდა,
—ჭკუაში არ უჯდებოდა,—
რომ შესამებით ნაყოფი
ნერგებზე არ იზრდებოდა:

—

«უკულმა სამართალია!...
რა რიგია და წესია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ხეს ნიგოზი მოუსხამს
და ბალახს დიდი ნესვიო!!»

—

ამ დროს იმ ნიგვზის წვეროზე
შემოჯდა ყვავი ყვანჩალა
და დასკვნა მისი მსჯელობის
ბეჩავსა ალარ აცალა:

—

შეირხა რტო და კაკალი
ძირს წამოვიდა ტრიალით;
თავზე დაეცა მთიულსა...
ზე წამოვარდა ღრიალით:

—

«ღმერთო! შეგცოდე, შემინდე
და ნუ მომკითხავ უბედობას!...
მე ვინ ვარ, რომ ვიწუნებდე
შენს ბრძნულსა შემოქმედობას!

—

«თურმე შენ უკეთ აწესებ
ამ ქვეყნად კარგს და ავსაო:
ნესვი რომ ბმოდა ამ ნიგოზს,
ხომ გამისრესდა თავსაო?»

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის წყალობა

IV

აცა კეთილ-მორწმუნე ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, იქიდან სამი საათის სავალზე აიმართებოდა ერთს მშვენიერს ჭალაში ბროლის სასახლე, რომელსაც გვერდზე მიშენებული ჰქონდა ბროლის კოშკი. მის წვეროზედ სანათურები იყვნენ მორთულნი. ზაფხულობით იქიდან ჭალის დახედვას არა სჯობდა-რა: ღვთის გაჩენილი ქვეყანა იქიდგან ხელის გულივით ჩანდა.

შორს, ცის-ფერს მთებზე თოვლი ზოლ-ზოლად გადუყვებოდა. გადმოლმა უზარ-მაზარი ტყეებით ჩაბურული ხეობები და გორები ჩამოიგრიხებოდნენ. ამ ღრიანცელებში მთის ხევები და ჩანჩქერები ქოთავდნენ. შემდეგ დაეფინებოდენ ამწვანებული მინდერები, საცა გაფანტულიყვნენ მხრებ-გადაშლილი კაკლისა და ცაცხვის ხეები. ამ თვალ-გადუწვდენელს ველებზე გაბნეულიყვნენ სოფლები წითელ კრამიტიანი სახლებითა. ყანებში მუშა ხალხი მღეროდა.

შორს თოვლიან მთებიდან ჩამორბოდა მდინარე, სახელად რურუ, რომელიც თან-და-თან იზრდებოდა ტყიან ხეობებიდან ჩამომდინარე გიჟი ხევის წყლებითა. ამ სახით დამთავრებული და გაზვავებული მდინარე რურუ რაკი კლდიან-ღრატოიან ხეობებს მოშორდებოდა, შემდეგ გამოვიდოდა გაშლილს ჭალაზე, იქ შეისვენებდა დაუცხრომელ ბრძოლისაგან და განებივრებული კელაკნით მიიზლაზნებოდა თვალ-გადუწვდენელს ველებზე, საც ამას მზის შუქი დაჰკრავდა და ალმასივით ააპრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი წყლის ფრინველი თავს დასტრიალებდა მას სიხარულით, ზოგი შიგ ჩაიყურყუმალებდა თევზის დასაჭერად, ზოგი შიგ ჩაჯდებოდა ტანის საბანებლად. ისინიც მხიარულად მიმოცურავდენ ბოლო წითლების*) საგემებელად.

ამ მდინარეს მთებიდან მოჰქონდა ბევრი ტივები და დიდი ნავები, საქონლით დატვირთულები. შიგ პატარა ცეცხლის გემებიც დაწიოდნენ და ზურგით მიმოჰყავდათ მგზავრები. ყველა ესენი კოშკიდან მშვენივრად მოჩანდა და ასეთი სანახაობა დიდებულს „მიწა-ჩემია“-ს დღე-ნიადაგ ართობდა. იმას და მის მეუღლეს ხშირად უყვარდათ კოშკის სანათურებში სხდომა და იქიდან ცქერა.

სასახლეს გარშემო ერტყა დიდი წალკოტი მარმარილოს გალავნით შემოსანგლული. დედა-მიწის ზურგზე იმისთანა ხეხილი, ან ყვავილი, ან მცენარეულობა არა მოიძებნებოდა-რა, რომ იმ წალკოტში არ ყოფილიყო. ზოგი მათგანი ჰყვავოდა, ზოგი კუკურს ილებდა, ზოგი მწიფდებოდა, ზოგი დამწიფებულიც იყო და კაცის ხელს ელოდა მოსაკრეფად. ყოველ დროს თავის შესაფერი ნაყოფი მოდიოდა.

წალკოტში ელვარე რკინისა და სპილენძის გზები იყო დაფენილი, იქაურს მდელოზე ბალახ-ყვავილები ისე იყენენ ერთმანეთში შეზავებულნი, რომ მშვენიერს თეკესა და ნუხურს ხალიჩებს მოაგონებდა კაცსა. აუზები მრავალ შადრევანებით მჩქეფარებდნენ, შიგ მთის ანკარა წყალი დუდუნებდა და ყოველ ნაირი თევზები ირეოდენ, ბარტყობდენ და იზრდებოდენ.

მარმარილოს გალავნის გაყოლება აბანოები იყო აგებული, საცა სუნნელოვანი ვარდის წყალი თბებოდა და მარმარილოს ქვაბებს ავსებდა. წალკოტში ისხდენ უცხო მგალობელნი ფრინველნი. იქ ირმისა და შვლის ჯოგი დადიოდა. ესე ყოველივე მიწა-ჩემიას თავის სახლობის გასართობად ჰქონდა მოგონილი.

სოფლელები—კაცი და ქალი—ხშირად დაიარებოდენ იქ და ამბობდენ: „ნეტავი მიწა-ჩემიას ცხოვრებას!... ქვეყნის სიმდიდრე სულ

*) ბოლო-წითლები—თევზებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია, ბედნიერი თუ ვინმეა ქვეყანაზე, მარტო ის არის!... სიბერე მას როგორ უნდა მიეკაროს, უსიამოვნობის ჩრდილი როგორ უნდა მიადგეს!...

ერთხელ, როცა მიწა-ჩემია კოშკის სანათურიდან გადმოჰყურებდა გაცხოველებულის მდინარის „რურუს“ კიდეებსა, უეცრად ფიქრის ნიავმა დაჰქროლა მის გონებას. იმან გაიელო გულში: „მართალია მე დღეს ბედნიერი ვარ, მაგრამ ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო. წუთის სოფელს სხვა ვინ ან რა შერჩენია, რომ ჩემი ბედნიერება შერჩესო? განა ქვეყანაზე-კი არ არის დაუძინებელი კაცის მტერი, რომელსაც „შურის თვალს“ ეძახიანო? რათი დავიჯერო, რომ ერთხელ მაინც იმან ან თვალი, ან ყური არ მოჰკრას ამ ჩემს ბედნიერებასაო?... მერე სად არის ჩემს ნიადაგზე ისეთი რამ მაგარი საფარი, რომ იმის შურის ძიებას წინ დაუდგესო?...

ასეთმა კითხვებმა კიდევ უფრო მოღრუბლა მისი სახე. არჩია, არჩია და ბოლოს ასე გადასწყვიტა: „მე უნდა ავაგო ერთი დიდი ციხე, რომ შიგ საკმაო ჯარი მოთავსდესო და „შურის თვალმა“ ველარა დამაკლოს-რაო“.

მოუწოდა ხუროთ-მოძღვრებს, კალატოზებს და მეჩუქურთმეებს. მის კოშკს ერთი მაღალი კლდე თავს დასცქეროდა, რომელზედაც განიერი მინდორი იყო გაშლილი. აი ამ მინდორზე ააგებინა მიწა-ჩემიამ მაგარი ციხე და დაარქვა „შურის-ციხე“, საცა იმდენს ჯარს შეეძლო მოთავსება ყოველ ნაირი სამზადისითა და სამხედრო იარაღითა, რომ ვერაფერი მტერი მას ველარას დააკლებდა.

ამიერიდგან მიწა-ჩემიამ დაიწყო კიდევ უფრო უზრუნველად და განცხრომით ცხოვრება. მისი შვილები იზრდებოდენ თავისუფლად, გაჭირვება რა იყო, არ იცოდნენ. როგორც-კი შვილი დაებადებოდა, მაშინვე გაჰბანდენ თბილს ვარდის წყალში, გაახვევდენ ბამბაში, ჩააწვენდენ ოქროს აკვანში და უკმევდნენ ამბროზიას. მათი გამდლები არასოდეს ცივს წყალს არ მიაკარებდენ, სიოს არ აგრძნობინებდნენ და მზეს არ აჩვენებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილებს ტირილის სახელი არ უნდა სცოდნოდათ, ყოველიფერი უკლისად უნდა ჰქონოდათ და ნებიერად ზრდილიყვნენ. მათ მოსდიოდათ ყოველ ნაირი სათამაშოები მზა-მზარეულად: ტიკინები, დედოფალები, მიწის სახლები, ეტლები, ქარის წისქვილები, პაწია ხომალდები და ბზრიალები. არაოდეს მათ არ შეუნიშნავთ, რომ ამისთანა რამე მათ გარშემო მყოფ მოსამსახურეებისაგან გაკეთებულიყოს, რადგან მათი მოსამსახურენი არასოდეს არაფერს არ აკეთებდნენ.

ამის გამო ისინი არ უკვირდებოდენ სათამაშოების მოწყობილობას და ფიქრობდენ, რომ ეს სათამაშოები თავისით კეთდებოდენ მათ სასიამოვნოდ და გასართობად. ისინი მხოლოდ ამტვრევდენ და ახდენდენ აუარებელს სათამაშოებსა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხვალ კიდევ მეტი და უკეთესები მოუვიდოდათ.

ყმაწვილებს აღეძრათ ნიჭი მტვრევისა და გაფუჭებისა, კეთებისა და შრომის ხალისი-კი სრულიად არ ჰქონდათ, იმისთვის რომ არ გამოეცადნათ ეს მოქმედება და ვერც არავის ხედავდნენ მშრომელს, რომ მისგან გადაელოთ, ან მათთვის წაებაძათ. ამ სახით ისინი ბავშობიდამ შეეჩვევნენ იმ აზრსა, რომ ყოველივე ქვეყანაზე ჩვენ სასიამოვნოდ და თავ-შესაქცევრად არისო გაჩენილი.

ამასობაში დიდებულსა და ფრიად მშვენიერს მიწა-ჩემიას მოულოდნელად დაატყდა თავზე დიდი უბედურობა. როცა მისი შვილები შვიდის ან რვა წლისა შეიქმნებოდნენ და მათს ნახვას არა სჯობდა-რა, უეცრად ან სიო შემოჰკრავდა მათ, ან მზის შუქი დაჰკრავდა და რადგან ისინი სათუთად იყვნენ ნაზარდნი, ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ აიტანდნენ. ამის გამო ისინი ხდებოდნენ ავად და კვდებოდნენ.

დედ-მამას ჩაუჯდათ გულში ნაპერწკალი ჯავრისა და დაეთუთქათ ბედნიერების დღენი. ამიერიდგან იმათ აღარა ახარებდათ-რა: არც სიმდიდრე, არც განცხრომით ცხოვრება და მუდამ გულზე ჰქონდათ მწუხარების ნაღველი გადანთხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, როგორც იქმნა, შერჩათ მათ ორი ვაჟი, რომელთაც დაარქვეს—ერთს „გოჩა“ და მეორეს „მაწაწკი“. ეს გლახა სახელები მიტომ ამოურჩიეს დედ-მამამ თავის შვილებს, რომ ავი კაცის თვალი არ სცემოდათ და იქნება დაზრდილიყვნენ; მაგრამ რა?... თუმცა გაიზარდნენ, მაგრამ ყმაწვილები მაინც ისეთ ნაირად იყვნენ მუდამ ავადმყოფობისაგან დაჩაგრულნი, რომ მათ ყოლას არ ყოლობა სჯობდა. სოფლელებმა იმათ სიყვითლის გამო ფსევნის წიწილები დაარქვეს.

რადგან გოჩა და მაწაწკი პატარაობიდგანვე იყვნენ მიჩვეულნი უსაქმობას და ცუდად ყოფნას, ამისთვის ყოველიფერი მობეზრებული ჰქონდათ. ისინი შეჩერებოდენ ერთმანეთს კოჭებში, შურდათ ერთმანეთისა ყოველივე და ამ სახით გამოვიდნენ საშინელნი თვალხარბნი. ერთი რომ აიღებდა რასმე ხელში, მეორე ეცემოდა და წაართმევდა. ამის გამო მათ შორის მუდამ ჩხუბი და ცემა-ტყეპა იყო გამართული. ამათი შემხედვარე მიწაჩემია და მისი მეუღლე ჩავარდენ ჭლერქში.

როცა მათი მამა, მიწაჩემია, კვდებოდა, მიიხმო თავის შვილები, გოჩა და მაწაწკი, და ასე უანდერძა:—„შვილებო, ჩემი სიკვდილის დღე მოახლოვებულია; მე მივდივარ და თქვენ რჩებით. რასაც თვალით ხედავთ, ყოველივე თქვენია. იყავით ერთმანეთის სიყვარულში და მორჩილებაში. ეცადეთ, თქვენი დაუძინებელი მტერი „შურისთვალი“ არ გაახაროთ.

შემდეგ გამოიღო სასთუმალიდამ ერთი ალმასის კლიტე*), მისცა უფროსს შვილს გოჩას და უთხრა:—რაცა გაქვთ დღეს, ისიც გეყოფათ საცხოვრებლად; და თუ უფრო მეტი დიდება მოგინდესთო, მაშინ მიდით იმ კლდესთან, რომელზედაც „შურის ციხეა“ აგებული, გააღეთ იგი ამ ალმასის კლიტითა და იმ კლდის ოთახებში ათი ამდენი სიმდიდრე დაგიხვდებათო. მაგრამ უსათუოდ ასეთი რიგი უნდა დაიცვათო: გოჩამ უნდა გააღოსო კლდე და მაწაწკმა უნდა დაკეტოსო.

*) კლიტე, ესე იგი გასაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთად იცხოვრეთ, არამცა და არამც არ გაიყარნეთო, ან ერთმა მეორეს კლიტე არ წაართვათო, თორემ მთელი სიმდიდრე დაგეკარგებათ და თქვენს მიწა-წყალს „შურის-თვალი“ დაიპყრობსო. იყავით უმცროსი უფროსის მორჩილებაში; მაგრამ არამცა და არამც უფროსმა უმცროსი არ დაჩაგროსო“.

გაათავა თუ არა ეს ანდერძი, მიწა-ჩემია გადაბრუნდა და სული ღმერთს მიაბარა. ქმრის სიკვდილმა ცოლიც თან გადიტანა. დარჩათ გოჩასა და მაწაწკსა ქვეყნის პატრონობა.

V

ამ დროს კეთილ-მორწმუნე დედ-მამას მოუვიდა თავისი შვილი, ღვთის-წყალობა. ვინ წარმოიდგენს დედ-მამის სიხარულს, როცა იმათ დაკარგული შვილი ისევ მოუვიდათ, მკვდარი გაუცოცხლდათ, იმედი ისევ მოეცათ. ამ ამბავმა ქარზე უფრო მალე გადირბინა ყოველი კუთხე. ყველას სასიამოვნოდ დაურჩა კეთილ-მორწმუნე დედ-მამის სიხარული, ყველანი ულოცავდენ მათ. ღვთის-წყალობა წვერულვაშით დამშვენებული იყო, დავაჟკაცებული. იმის თვალებში ცოდნა და გონიერება გამოსჭვერდა; მის განიერს შუბლზე ჭკუა და გამოცდილება აღიბეჭდებოდა.

ნაცნობმა და უცნობმა — ყველამ დაუწყეს კითხვა: — სად გადიკარგე აქამდის, რათ დაუღამე შენს დედ-მამას უდროოდ დღე და ჟამი, რად მოიძულე ასე უდროოდ შენი ქვეყანა და სამშობლოო?...

— მე ვიყავი ოქროს ქვეყანაში და ამდენი ხანი იქ ვსწავლობდიო, — დაიწყო ღვთის-წყალობამ: — ჩემი დედ-მამის სიყვარულმა გამაბედვინა ეს საქმე, რომ ჩემი კარგი კაცობით იმათაც კარგი ხსენება ჰქონებოდათო. მიყვარდა ჩემი სამშობლო და იმიტომაც გულში ამოვიჭერი მისი სამსახურიო.

„უსწავლელად, გამოუცდელად, აბა რითი გამოვადგებოდი ჩემს ქვეყანასო... რაკი ოქროს ქვეყნის სახელი გავიგონე და შევიტყე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იქ ბევრი ბრძენი ხალხია, ბევრი კეთილი საქმე კეთდებაო, მაშინვე გადავსწყვიტე გულში იქ წასვლა; მაგრამ ეს რომ ჩემი დედ-მამისათვის გამემხილა, აღარ გამიშვებდენო. ისიც ვიცოდი, რომ ჩემი გაპარვა, ერთად-ერთი შვილის დაკარგვა, რა ნაირად შეაწუხებდა საწყალს ჩემს მშობლებსა, მაგრამ რა მექნა?... მე ჩემი თავი ქვეყნის სასარგებლოდ მქონდა გადადებული და ამისთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლოს ღმერთიც შემინდობდა, დედ-მამაც მაპატიებდა და სოფელიც აღარ გამკიცხავდა.

„ერთს დღეს წავედი, ვიარე, ვიარე და მივედი რუურუს მდინარეზე. იქ პატარა ცეცხლის გემის პატრონი დამხვდა, მოვეწონე, გემში ჩამსვა და მითხრა, გავისეირნოთო. რუურუს მდინარე ზღვისკენ მიდიოდა და, რადგან გემის უფროსმა თავდაღმა დააყოლა თავის გემი, მეორე დღეს ზღვის პირად მივედით. იქ ერთი დიდი ქალაქი დაგვხვდა, რომლის ნავსადგურში სულ ოქროს ქვეყნის გემები იდგა.

„გემების პატრონები ოქროს ქვეყნელები იყვნენ. ქალაქის ხალხი იმ გემებში თავისუფლად შედიოდა და გამოდიოდა. მეც შევალ-მეთქი,—ვიფიქრე სხვას თუ არა აქვს დაშლა, მე რად უნდა მექნეს-მეთქი. იქ გემის უფროსმა თვალი მომკრა. არ ვიცი, რითი განვირჩეოდი სხვებში, მაგრამ ის კაცი-კი მაშინვე მიხვდა, რომ მე იმ ქალაქის მცხოვრები არ ვიყავი. ის მოვიდა ჩემთან და მკითხა ჩემი ვინაობა. მე ვუპასუხე, შორის სოფლიდან ვარ მეთქი—მდინარის რუურუს სათავისაკენ რომ მდებარებს მეთქი. მინდა ოქროს ქვეყანაში წასვლა, რომ იქაური ხელობა ვისწავლო მეთქი.

„გემის უფროსს ძალიან მოეწონა ჩემი განზრახვა, თავზე ხელი გადამისვა, ერთი ოქრო მაჩუქა და მითხრა:—მე წაგიყვან, არც გზის ფულს გადაგახდევინებ და კიდეც გარჩენო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გემის უფროსმა შემატყო და მითხრა:—შენ კარგი კაცი გამოხვალო.

„სამი კვირის ზღვაში სიარულს შემდეგ ოქროს ქვეყნის კიდეზე გავედით. იქ ჩემმა მეგობარმა, გემის უფროსმა, გამიყვანა დიდებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვისპირის ქალაქში. აქ ზღვის პირად ერთი დიდებული სასახლე იდგა მარმარილოს სვეტებიანი და შიგ ყოველი ქვეყნიდან მოსული ვაჭრები ბუზებსავით ირეოდენ. ამ სასახლის წინ უზარმაზარ საფეხურზე აიმართებოდა ბრინჯაოსაგან გაკეთებული უშველებელი სურათი. იმას ჰქონდა დედა-კაცის სახე, რომელსაც თავზე დაფნის გვირგვინი ედგა. ამ ქალს ზღვაზე ჰქონდა გაწვდილი ხელი, თითქოს ზღვაში მოსიარულე გემებს ხელს უქნევდა: მოდით ყოველი ქვეყნის კუთხიდან, მოიტანეთ სავაჭრო საქონელი, ყველას გაგისაღებთ, და გამდიდრებული შინ დაბრუნდებითო. ამ ძეგლის სიდიდემ მეტად გამაკვირვა. მარტო იმ ქალის თითებში ჩემისთანა ყმაწვილი ხუთიც მოთავსდებოდა.

„ჩემმა მეგობარმა, გემის უფროსმა, ჩამისვა ეტლში და, საცა ყველაზე შესანიშნავი ქარხანა იყო გამართული, იქ მიმბარა. საკვირველი კარგი გულისა ყოფილა ოქროს ქვეყნის ხალხი. თუ კი შეიტყეს, რომ იქ უცხო ქვეყნიდან მივიდა ვინმე სწავლისა და ხელობის შესაძენად, მომეტებულად გაეხარდებათ და ყველანი ცდილობენ მის მფარველობას. მეც ასე მომექცენ. რაკი შემატყვეს, რომ შრომა და სწავლა არ მეზარებოდა, მაშინვე დამაყენეს მუშაობაზე და შესაფერს ჯამაგირსაც მაძლევდენ. მე მოვხვდი ისეთს ქარხანაში, საცა ორთქლისა და ცეცხლის ძალით კეთდებოდა ყოველივე. იქ იმდენს ხანს დავრჩი, რომ არა დამრჩენია-რა შეუსწავლელი.

„ახლა მოვედი შინ და მინდა ეს ჩემი ღარიბი ქვეყანა გავამდიდრო, თუ თქვენგან შემწეობა და დაჯერება მექნება, — უთხრა ღვთის-წყალობამ თავის სოფლელებს.

დედ-მამა და მეზობლები აღტაცებულნი იყენენ ღვთის-წყალობას ლაპარაკით. ისინი დაჰპირდნენ, კიდეც შეგეწევით და კიდეც გაგიგონებთო.

ღვთის-წყალობამ ასე განაგრძო: — ეს ჩვენი ქვეყანა ბუნებით მდიდარია; მაგრამ ჩვენი კუთხის ხალხს მოხმარების შნო არა აქვსო, რადგან ცოდნა და ხელობა აკლიაო. ეს არის ჩვენი სიღარიბის მიზეზი, მეტი არაფერი. ჩვენ გვაქვს ჩინებული საშენებელი ქვისა, აყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მიწისა (თიხისა), რკინისა, შავი ქვისა, ქვა-ნახშირისა, სპილენძისა, ოქროსი და ვერცხლის მადნები; გვაქვს აუარებელი ტყე და ნავთის წყაროები. ამ ნივთებიდან მცოდნე და ჭკვიანი კაცი რას არ გააკეთებს! აყალო მიწიდან მშვენიერი ჭურჭელი, აგური და კრამიტი გამოვა. ხე-ტყისაგან ათასნაირი ხის ავეჯულობა, ძვირფასი სახლის მორთულობა და ხომალდის ანძები. თვით წყალში მოსიარულე გემები განა ამ ხე-ტყისაგან არ კეთდება?.. რკინის მადნიდან ხომ რკინა გამოდის; რკინისა და შავი ქვის შეზავებით საუკეთესო ფოლადი და ფოლადის იარაღი კეთდება.

„ქვა და კირი-კი ცოტა სიმდიდრეა ქვეყნისათვის, ვინც მოხმარება იცის? სპილენძი, ვერცხლი და ოქრო, ვინც მათი პოვნა და შემუშავება იცის, ხომ, რაღა თქმა უნდა, სიმდიდრეა და სიმდიდრე. ნავთი დედა-მიწის ზურგის ჩირაღდანია. ვისაც-კი შეუძლია მისი ამოღება და შემუშავება, მერე საზღვარს გარეთ გატანა, იმან იცის, თუ რა ფულის სიმდიდრე შემოაქვს ქვეყანაში.

„მიწის გულში ბევრი რამ სიმდიდრე მარხია; დედა-მიწის ზურგზე ბევრი რამ სასარგებლო ნივთია. მაგრამ სანამ კაცმა არ იცის ხელობა, არა აქვს შესაფერი ცოდნა, მანამ ვერც ამ სიმდიდრეს გამოიყენებს და ვერც ხალხი გამდიდრდება. იმან უნდა იცოდეს ისეთი მანქანების შეწყობა და ქარხნების აგება და ამათი საშუალებით მუშაობა, რომ ერთი კაცი ასი კაცის ოდენს აკეთებდეს. მაშინ შეიძლება, რომ, რაც ჩვენ ხალხს არ დასჭირდება, მომეტებული ნაწილი სხვაგან გაეგზავნოთ, გავყიდოთ და ფულად ვაქციოთ. როცა ყველას ამ სახით ბევრი ფული გვექნება, მერე შეიძლება კარგი სასწავლებელი გავმართოთ, კარგი რკინის გზები, კარგი ცეცხლის გემები, რომ ამ ჩვენი ქვეყნის შთამოება უფრო და უფრო გამრავლდეს, დაწინაურდეს, უფრო-და-უფრო ჭკვიანად ხმარობდეს იმ ბუნების სიმდიდრეს, რომელიც ჩვენ საკეთილდღეოდ გაჩენილა და ღმერთს ჩვენთვის მოუცია, მაგრამ რა ვქნათ, რომ დღეს მოხმარება არ შეგვიძლია, ჩვენს შრომას ხვავი არა აქვს უცოდინარობის გამო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამბობენ, ქარხნებისა და მანქანების გამართვას ფული უნდაო და ჩვენ-კი ფული არა გვაქვსო. მაშ გამოდის, რომ სულ უქმია ეს ჩემი ლაპარაკი. მაგრამ არა. მე მოგახსენებთ, რომ ფული თვითონ ჩვენ ვართ. აი, მაგალითად, მე მაქვს ცოდნა, მოხერხება და გამოცდილება,—ეს კი ფული არ არის? თქვენ გაქვთ შრომის შნო და დალოცვილი ჯაფის ამტანი მარჯვენა. ესეც ფულია. შეეაერთოთ თქვენი შრომა ჩემ ცოდნასთან და მაშინ ფულის წყაროც გამოჩნდება.

— მიეხვდით, მიეხვდით—შესძახა ხალხმა ღვთის-წყალობას,— გვიბრძანე, დაგვაყენე თვითოეული ჩვენს შესაფერ მუშაობაზე, გვიწინამძღვრე და ყოველიფერში მოგყვებით. ოღონდ გაჭირებისაგან თავი დავახწიოთ და მუშაობაში თავებს ჩავიხოცთო.

თქვეს და კიდეც აასრულეს.

ამას შემდეგ ღვთის-წყალობამ დაიბარა სოფლის მჭედლები. რაც ძველის ნიმუშისა და ახალი მუშაობისათვის გამოუდეგარი რკინის ბარი, ურო, წერაქვი, ჩაქუჩი და სხვა ხელსაწყო იყო, სულ ახალ ნიმუშზე გადააკეთებინა, იმისთანა ნიმუშზე, როგორსაც ოქროს ქვეყანაში ხმარობდენ.

შემდეგ წავიდა და ამისთანა იარაღებით რკინისა და შავი ქვის მადნები მოათხრევინა, მოატანინა ლითონი და თიხის ქურებში გადაადნობინა ზოგი რკინათ, ზოგი ფოლადად, რადგან ჯერ კიდევ ქარხნები არ იყო. შემდეგ ამ მასალით დააკეთებინა საუცხოო რკინისა და ფოლადის იარაღები, რომლითაც გაათლევინა ქვები. მოაჭრევინა ისეთი აგური, რომ ცეცხლი ვერას ავნებდა, და შეუდგა თვალ-აუწვდენელის საქარხნო ბუხრების აგებას, საცა შესაძლებელი ყოფილიყო ბევრი ლითონის ერთბაშად გადადნობა. მერე დამართა ოთქლის მანქანები და დაიწყო ათას ნაირი რკინეულობისა და სხვა-და-სხვა შორს ქვეყანაში გასაგზავნი ნივთების მომზადება.

აი ამ გვარი საერთო შრომით ხალხმა ჩაიგდო ხელში საუკეთესო იარაღები. იმან დაიწყო მუშაობა ოთქლის გუთნებით, ოთქლის სალეწავებით; მოაწყო ოთქლის წისქვილები და ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველიფერს ორთქლისა და ცეცხლის შემწეობით აკეთებდა. გაჩნდა იმ მხარეს მაღალ ბუხრებიანი ქარხნები და შიგ მანქანების წარმოებას დღე-ნიადაგ რახა-რუხი გაჰქონდა.

ამ ქარხნების საშუალებით იმ კუთხის ხალხმა მოამზადა აურაცხელი ნივთები, რომელიც მას ცხოვრებაში გამოადგებოდა. გაკეთდა რკინის გზები, გაიმართა ცეცხლის გემები, გაიკვერა გზა უცხოეთში და დაიწყო იმ კუთხის ერმა უცხო ქვეყნებთან ვაჭრობა. ის სყიდდა უცხო ქვეყნელებს თავის ნაწარმოებს და ფული შინ შემოჰქონდა. რაკი ერმა ფულით მოითბო ხელი, შემდეგ დაიწყო ქოხების მაგიერად ბოლის კოშკების შენება და მშვენიერი წალკოტების გამართვა. ახლა-კი მადლიერი ხალხი ღვთისწყალობას ლოცვით იხსენიებდა და მის მშობელს საუკუნო განსვენებას უთვლიდა.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტმა რა უთხრა იასა

ჩიტმა უთხრა იასა:
«იაო, ჩემო იაო!
ნეტა ეგ ტურფა ზიზია
შენთვის ვის მოუცია?
სოსანი კაბა ჩაგიცვამს,
მძივებით მოგირთვია;
მარგალიტების ღარადე
კისერზედ მოგივლია!
მიყვარხარ, დაწუხებულსა,
მე შენთვის მიტირნია.
რისა გრცხვენიან, გენაცვა,
რა თავი დაგიხრია?!»
— იამ მიუგო: არ გიცნობ,
არც შენთვის მომიცლია,
როდის მოსულხარ და ჩემთვის
კრაზანა მოგიცლია?....

თ. რაზიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ-გმირი გარგანტუა

(ფრანგული ლეგენდა)



ლოკ-გერვენის მფლობელს, ბრეტანში, ჰყავდა ერთი მშვენიერი ქალი, რომელიც, საუბედუროდ, ისეთი ვატარა ტანისა იყო, რომ ოთხი წლის ბავშვის ცოდის ოდენა მლივს იქმნებოდა. ეს მალიან აწუხებდა საწყალ მამას.

ბევრი დიდ-გვარეულობის კაცნი მოდიოდნენ, რომ ეს ქალი შეერთოთ ცოლად, მაგრამ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორცკი დაინახავდნენ ჯუჯას, მაშინადვე შეახტებოდნენ ისევ ცხენებს და უკან გაბრუნდებოდნენ.

ერთხელ ლოკ-გერვენში დიდი ამალით მოვიდა ერთი გრაფი, სახელად როჟე, რომელიც ტანით სწორედ მფლობელის ქალის სიმაღლე იყო.

— მე მინდა თქვენი ქალი ცოლად შევირთო,—უთხრა გრაფმა ქალის მამას.

— დიდის სიამოვნებით მოგათხოვებდით ჩემს ქალს,— უპასუხა მამამ, — მაგრამ მთელი ბრეტანი მასხარად აგიგდებსთ.

— მე თუმცა ტანით ჯუჯა ვარ,—უპასუხა ამაყად როჟემ,—მაგიერ სიმხნევე და სიმარჯვე დიდს ადამიანზე მეტი მაქვს, არც ერთ ბრძოლიდამ დამარცხებული არ გამოვსულვარ. ამას გარდა ფერიამ მიწინასწარმეტყველა, რომ დევ-გმირი შვილი გეყოლებაო.

ამ უკანასკნელმა ამბავმა დაამშვიდა მამა, და მიათხოვა როჟეს თავისი ქალი.

მართლაც ამათ მალე ეყოლათ ვაჟი, რომელსაც სახელად დაარქვეს გარგანტუა. ამ ბავშვს აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი. ისე მალე იზრდებოდა, რომ როდესაც ოთხი წლისა შეიქმნა, მთელი თავით მაღალი იყო იმ ჭერცოგზე, რომელიც იმათ მხარეში უმაღლეს ადამიანად ითვლებოდა. ღონით გარგანტუა ძალიან სუსტი იყო. ბატარა ბავშვს რომ წკიპარტი ეკრა, მაშინადვე წაიქცეოდა. ამ დევ-გმირის უღონობა ძალიან აწუხებდა დედ-მამას.

ერთხელ ამის დედა ზღვის პირას წავიდა სასეირნოდ და გზაზე ნახა ზღვის ფრინველი, რომელიც ტალღებს გამოეგდო ხმელეთზე. გრაფის ცოლს ძალიან შეეშინდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტისა და უნდოდა გაქცევა, მაგრამ როცა კარგად დაკვირდა და ნახა, რომ ჩიტი უძრავად ეგდო დედა-მიწაზე, გული გაიმაგრა და მიუახლოვდა. ჩიტმა უთხრა:

— დამიხსენი სიკვდილისაგან, გეხვეწები, პატიოსანო გრაფის ცოლო! ნუ გეშინიანთ, მე ავი არავისთვის მიქნია, პირიქით ბევრს ვიხსნი განსაცდელისაგან, ჩემი მშვენიერი და ნაზი სიმღერით ვაცნობებ ხოლმე ზღვაზე უბედურების სიახლოვეს.

გრაფის მეუღლე ძალიან გულ-კეთილი იყო და უშველა ჩიტს ზღვამდინ მისვლა.

— რითი შეიძლიან გადაგიხადო ეს სიკეთე?—ჰკითხა ჩიტმა,—მე ძლიერი ვარ და მთხოვე, რაც გინდა, მაშინადვე აგისრულებ.

— მე მეავს გასაკვირველი ტანის ვაჟი, მაგრამ საშინელი უღონოა: მიეცი იმას იმისთანა ძალა და ღონე, რომ ვერავინ აჯობოს,—უთხრა ხვეწნით გრაფის მეუღლემ.

ფრინველმა წყალში ჩაიყურყუმელა და ისევ მალე გამოჩნდა. ნისკარტში ეჭირა ერთი ლოკოკინა, რომელიც რძის მსგავსი სასმელით იყო სავსე.

— ეს სასმელი დაალევინე შენს შვილს და ისე გაღონიერდება, რომ მთელს ქვეყანაზე გავარდება იმისი ღონის ამბავი. ეს რომ სთქვა ფრინველმა, ისევ ჩაიყურყუმელა წყალში და გაჭქრა.

როდესაც გრაფის მეუღლე დაბრუნდა სახლში, ამ სასმელის ძალა პირველად თავის შვილზე ვერ გაბედა გამოეცადნა, ამიტომ ნახევარი ამ სასმელისა ჯერ თავის კატას დაალევინა და, რომ ნახა, არაფერს აენებსო, დანარჩენი თავის შვილს მისცა დასალევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარგანტუამ და კატამ მალე იგრძნეს ამ სასმელის მალა: კატა ისე გაღონიერდა, რომ მლიავს შეიმაგრეს და მიაბეს სხვილი რკინის ჯაჭვით ერთ დიდ კლდეს. სუთი წლის გარგანტუა-კი შვიდ-რვა ცხენის ნალს მიამტვრევდა ხოლმე და დიდრონ სიჰის ქვებს ბურთივით ათამაშებდა, სიმაღლით ხომ ტეის უმაღლეს ხეებს გადააჭარბა. მადაც სიმაღლის და ღონის შესაფერი ჰქონდა.

გრაფმა როჟემ მთელი ჯარი მოსამსახურეები და მზარეულები დაუნიშნა. სულ ორმოცდა თექვსმეტი კაცი იყო, რომელთაც გარგანტუას ჭამა-სმისთვის უნდა ეფიქრნათ მუდამ. იმათში თოთხმეტი მონადირე იყო, თოთხმეტი მზარეული, თოთხმეტი ბიჭი, რომელნიც ნიჩბებით და ორთი-თებით აწოდებდნენ საჭმელს, თოთხმეტი მერიქიფე, რომელ-ნიც დიდრონი ქვევრებით და ჩაფებით აძლევდნენ სასმელს.

სწორედ გასაკვირველი სანახავი იყო ამ დროს გარ-განტუა. როდესაც გარგანტუა შვიდის წლისა გახდა, გა-მოუცხადა თავის დედ-მამას, რომ ეხლა უნდა საფრანგეთი მოვიაროვო.

ამ დროს ამათ მხარეში ბევრი ვაჭარი იყო, და გრაფ-მა, რაც რამ ამ ვაჭრებს მაუდი და ფარჩეულობა ჰქონდათ, სულ იყიდა და გადასცა თერძებს, რომ გარგანტუასთვის ახალი ტანისამოსი შეეკერათ. თერძები ექვს თვეს ჰკერავდნენ ამის ტანისამოსს.

ბოლოს გარგანტუამ ჩაიცვა თავისი ახალი ტანისა-მოსი, ჩაიხედა ზღვაში, რადგან იმ სიმაღლე სარკე არსად იყო, რომ დაენახა თავისი თავი, წავიდა მამასთან გამო-სამშვიდობლად და სთხოვა, სამგზავროდ ჯოხი მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად გიშოვნო, შვილო, შენ სიმაღლე ჯოხი?

— უჯოხოდ ჩემი წასვლა შეუძლებელია,—უპასუხა გარგანტუამ,—უნდა მქონდეს რაძე იარაღი ხელში, რომ მტერი მოვიგერო, თუ არა?

— მაშ წადი, შვილო, ტყეში, ამოაძრე იქიდამ შენი მოსაწონი ხე და დაიჭირე ხელში.

გარგანტუამ ტყეში მონახა მშვენიერი მსხვილი და სწორი მუხის ხე, ძირიანად ამოაძრო, ხელით ჩამოაცალა ტოტები, დაიჭირა და გაუდგა გზას.

საცა-კი მივიდოდა, მცხოვრებლები გამოცვივდებოდნენ სახლებიდამ და უყურებდნენ ამ გასაშტერებელს ბავშვს და ჰკითხავდნენ:

— რა გქვიან, დევ-გმირო ბავშვო?

— ბავშვს ნუ მეძახით, თუ არ გინდათ, რომ ამ ერთი ჯოხის მოქნევით ამოგწვიტოთ,— ეუბნებოდა ხოლმე წყენით გარგანტუა.

მივიდა ერთ ქალაქში, საცა ხალხი დიდ მწუხარებაში იყო: თითქმის ერთი თვის განმავლობაში არც ნიავს და არც ქარს არ დაექროლა, ამის გამო ქარის წისქვილები უძრავად იდგნენ და ფქვილი აღარა ჰქონდათ, რომ პური გამოეცხოთ.

გარგანტუას შეეცოდა საწყალი მცხოვრებლები, შეუბერა ერთი, და წისქვილებმა ისე ჩქარა დაიწყეს ტრიალი, რომ ყველას გაუკვირდა.

გახარებულმა მცხოვრებლებმა გარგანტუას ერთი დიდი ურემი ოქრო-ვერცხლი მოუტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად მინდა მე თქვენი ფული,—უთხრა გარგანტუამ, მაჯამეთ რამე, ის მირჩევნია.

მშვენივრად ისადილა იმ დღეს გარგანტუამ. მთელი ქალაქის მცხოვრებლები შემოესივნენ ამ დევ-გმირს, რომელიც თითო მოზრდილს ცხვარს თითო ლუკმად იდებდა პირში და ისე ჭელაპავდა.

გამამღარმა გარგანტუამ მადლობა გადუხადა ხალხს და გასწია.

თითო იმისი ნაბიჯი უდრიდა სამოცდა ათს ვერსტს. ის ადვილად გადადიოდა კლდეს, ველს, ღრეს და მდინარეებს. თუ ვინიცობაა დაეტაკებოდა რომელსამე ეკლესიას ან რომელსამე მაგრად აშენებულს ქვითკირის სახლს, ისე დაანგრევდა, როგორც ქაღალდის ხუხულებს.

საღამოს დევ-გმირმა დიდ გაშლილ მინდორზე დაიძინა. დილაზე რომ გაიღვიძა, დაინახა გარშემო მშვენიერი მთები, კლდეები .და ძალიან მოეწონა.

— თან წავიღებ უთუოდ ამ კლდეებსაო,—იფიქრა გარგანტუამ და მოჭვლიჯა ძირიანად ეს კლდეები, ჩაიყარა ჯიბეებში და გაუდგა გზას.

როცა გარგანტუას ტანისამოსს უკერავდნენ, თერძებმა ვერ მოისაზრეს, რომ მაფის მაგივრად მაგარი კანაფის თოკი ეხმარათ. გარგანტუას დაერღვა ჯიბეები და ათი ათასი კლდე დასცვივდა გზაზე, სადაც დღესაც არიან ამართულნი და გამვლელ-გამომვლელნი მათი სიმშვენიერით სიამოვნებენ.

როდესაც გარგანტუა მიუახლოვდა თავის სახლს, მხოლოდ მაშინ შეამჩნია თავისი დანაკარგი და ძალიან ეწყინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი,—დაიყვირა მან,—წავალ და მთელ დედა-მიწას შემოვივლი გარშემო. ასე ჰირდაჰირ გავუდგები გზას და თუ მართლა დედა-მიწა მრგვალია, როგორც ამბობენ, მაშინ ისევ მეორე გზით დავბრუნდები ბრეტანშიო.

ამ დროს მოაგონდა, რომ დედა-მიწის ზურგზე ბევრი ოკეანები და ზღვებია და გავლა მოუნდება.

— ხომალდით წავალ,—სთქვა მან.

მთელი ზღვის ჰირის ქალაქები მოიარა და ვერსად ნახა იმისთანა ხომალდი, რომ დატეულიყო. მეტი ღონე არ იყო, ისევ თვითონ შეუდგა ხომალდის აშენებას.

ბრეტანში დიდი თვალ-მიუწვდენელი დაბურული ტყეები იყო. ამოაძრო უზარმაზარი ხეები: მუხა, ფიჭვი, წიფელა, წაბლი, კაკალი და ბევრი კიდევ სხვა და გააკეთა ისეთი დიდი ხომალდი, რომ დედა-მიწის ზურგზე ამის მაგვარი არ მოიპოვებოდა. ასი ათასი კაცი ადვილად დაეტეოდა ზედ. იალქნების დასამაგრებელი ბოძები ისეთი მაღალი და მსხვილი იყო, რომ რამდენიმე ჰატარა ქალაქი მოთავსდებოდა ზედ. იმის ტოტებზე-კი სასტუმროები იყო გამართული. როცა ხომალდზე მოსამსახურეს მოუნდებოდა ამ ბოძებზე ასვლა, იმდენი ხანი უნდებოდა, რომ იქიდამ თმა-გაჭაღარავებული დაბრუნდებოდა ხოლმე უკან.

აი ამ გვარი ხომალდით გაემგზავრა გარგანტუა და რამდენჯერმე შემოიარა გარშემო დედა-მიწა.

ერთხელ საშინელი ქარი ამოვარდა და ერთი ბოძი გასტეხა. გარგანტუა თითონ დადგა იმის მაგივრად და იმა-გრებდა უანგარიშო იალქნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარგანტუას მალე მოსწყინდა ფეხზე დგომა და გადასწყვიტა ხლვით მგზავრობისთვის დაენებებინა თავი და ხმელეთით წასულიყო სახლში. თავის ქვეყანაში რომ მივიდა, ხომალდიდან გადმოხტა, გამოათრია ნავირზე და იქ დააგდო. გარშემო მცხოვრებლები სამასი წელიწადი შეშად ხმარობდნენ ამ ხომალდს.

როცა დევ-გმირი დაბრუნდა სახლში, საძწუხარო ამბავი დახვდა მას აქ. იმისი დედ-მამა ამ ორმოცდა ათის წლის წინად დახოცილიყვნენ. გარგანტუა ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა. ავიდა ერთ მაღალ კლდეზე და დაიწყო ცხარე ცრემლით ტირილი. როდესაც კარგად გამოიტირა და დამშვიდდა, მოიწმინდა თვალები, გადიხედა ძირს და ნახა, რომ მისი ცრემლები დიდრონ მდინარეებად და წყაროებად გადაქცეულა და თითქმის მთელი ქვეყანა აუოხრებია. უსაქმოდ ჯდომა მოსწყინდა და დაიწყო გორაკებით ბურთაობა. როცა თამაშობაც მოსწყინდა, წამოწვა ტყეში და სამი წელიწადი ეძინა.

— რა ვქნა ესლა,—სთქვა გარგანტუამ, როდესაც გაახილა თვალები.

— წავალ აი წუალ გადაღმა ერთ რომელსამე კუნძულზე და იქ ვისაუზმებ.

სამი ვერსტი წუალი გატოპა და მივიდა ჯერზეის კუნძულზე. მცხოვრებლებს ძალიან გაეხარდათ მისი დანახვა და მხიარულად გამოეგებნენ.

— მადლობელი ვარ, მეგობრებო, რომ ასე მხიარულად მიმიღეთ,—უთხრა გარგანტუამ,—აბა, ერთი კარგი საუზმე მაჭამეთ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩქაროდ მოზიდეს რაც რამე ჰქონდათ: ქათმები, ცხვრები, ბატები, ხბორები, ძროხები, ხარები და ერთად მოაგროვეს იმის წინ.

— გეეოფა?—ჰკითხეს მცხოვრებლებმა.

— არა, არა, მეგობრებო! მოიტანეთ კიდევ, სულ მოიტანეთ, რაცა გაქვთ.

კუნძულის მცხოვრებლები ძალიან დაღონდნენ და ბედს იწყევლიდნენ, რომ ისე კარგად მიეგებნენ.

— განა მეტი არაღაფერი გაქვთ? — ჰკითხა გარგანტუამ, როდესაც ეს ამოდენა ხორაგი შეჭამა.

— საუბედუროდ აღარაფერი გვაქვს მეტი, —უპასუხეს მცხოვრებლებმა.

— მე თქვენ ვეღარა მნახავთ დღეის შემდეგ, ესლაც კინაღამ შიმშილით მომკალით,—უთხრა გაჯავრებულმა გარგანტუამ.

— მით უკეთესი!—გაიფიქრა გულში საწყალმა ხალხმა.

დევ-გმირი უკან დაბრუნდა. გაზაფხული იყო და გადასწყვიტა ზაფხული ზღვის პირას გაეტარებინა. როდესაც კარგა გამოძღა, წავიდა ზღვის პირას, ფეხთ გაიხადა, გულაღმა დაწვა და სიამოვნებით შესცქეროდა ცას. ტიტველი ფეხები-კი ზღვის ტალღებს მიუშვირა და ეცინებოდა, ზღვის ლოკოკინები, კიბოები და კიბორჩხალები გარგანტუას ფეხის თითებ შუა რომ მიცურავდნენ და ნადირობდნენ თევზებზე, რომელნიც ფრჩხილებ ქვეშ იმალებოდნენ.

ესლა გარგანტუამ პირველად გაიფიქრა გულში ცოლის შერთვა, მაგრამ ვინ შაერთო? ბევრი ქალი ნახა თავის მოგზაურობაში, მაგრამ არც ერთი არ მოსწონებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრებში გართულმა გარგანტუამ ფეხი გაანძრია და მოახვედრა მის მახლობლად მოძავალს ნავს და გადააბრუ-ნა. დევ-გმირი ვერცხ-კი შეამჩნევდა ამას, რომ მისი ყურა-დღება რაღაც ყვირილს არ მიექცია.

ჩაიხედა წყალში და ნახა ერთი ჰატარა სულდგმუ-ლი, რომელიც ტალღებს ებრძოდა. გარგანტუას შეეცოდა ეს სულდგმული, ჩაჭეო ხელი წყალში და ამოიყვანა იქიდამ მშვენიერი, ნაზი, ჰირის ფერ ფარჩაში გახვეული ქალი.

— ნეტა ეს რა არის? მე ჯერ ამისთანა მშვენიერება არსად არ შემხვედრია!—სთქვა დევ-გმირმა და დაუწყო და-კვირვებით შინჯვა ამ ჰატარა არსებას, რომელიც ალი იყო. ალიც გაშტერებული უყურებდა გარგანტუას, თავის მშვენიერი ცის ფერი თვალებით. დევ-გმირიც ისე გაიტაცა ამ ქალის სიმშვენიერემ, რომ ყველაფერი დაავიწყდა და ხმა-მაღლა წამოიძახა:—აი ეს უნდა იყოს უთუოდ ჩემი ცო-ლი! მაგრამ ვაი რომ ასეთი ჰატარაა!

ამისმა საზარელმა ხმამ ისე შეაშინა საწყალი ალი, რომ გაშალა თავისი ხავერდის მსგავსი ფრთები და ლერ-წმებში მიიმალა.

გარგანტუა ძალიან შესწუხდა, რომ ვეღარ ნახა მშვე-ნიერი ქალი და ისეთი საზარელი ხმით დაიწყო ყვირი-ლი, რომ მთელი ბრეტანის მცხოვრებლები შიშმა მოიცვა. ამ დღიდამ დევ-გმირი აღარ შორდებოდა ზღვას. მუდამ დილას დაჯდებოდა ხოლმე და ნაზის ხმით უმახდა ალს, ეხვეწებოდა და ემუდარებოდა, მისულიყო მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალს თავის სასახლეში ესმოდა გარგანტუას ხვეწნა და მუდარება, მაგრამ შიშით ვეღარ ამოდიოდა. ერთხელ-კი თავი ვეღარ შეიმაგრა, ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა და თავი ამოჰყო წყლიდამ. გარგანტუა დიდხანს ებაასებოდა, უამბობდა თავის ცხოვრებას და თავ-გარდასავალს. ალს მალიან მოეწონა იმისი ამბავი და ამას შემდეგ მუდამ მოდიოდა დევ-გმირთან, ემუსაიფებოდა და ეთამაშებოდა.

ასე გავიდა მთელი საუკუნე. შემდეგ დევ-გმირმა ცოლად შეირთო ეს ალი და ბედნიერად სცხოვრობდნენ. გარგანტუა მალიან კეთილი და მოყვარული ქმარი გამოდგა. ცოლი დასეირნობდა თავისუფლად გარგანტუას წვერში, როგორც დაბურულ ტყეში, ქმრის ხელის თითებზე თამაშობდა, სტოდა ამის ხელის გულზე და ცხვირზე, ცეკვავდა, ან კიდევ შეუძვრებოდა ხოლმე ყურში და სხვა-და-სხვა სასიამოვნო სიმღერებს უმღერდა.

ერთხელ გარგანტუას საფრანგეთის ხელმწიფისგან მოუვიდა გრძელი წერილი და ეპატიჟებოდა მას პარიჟში.

— დიდი ხანია მაინც მინდა პარიჟის ნახვა,—სთქვა გარგანტუამ,—და აი ესლა კარგი შემთხვევა მეძლევა.

ჩაიცვა თავისი ახალი ტანისამოსი, შემოიკრა გვერდზე ხუთას ოცდა ხუთ ფუთიანი ხმალი, აიღო ხელში თავისი ჯოხი და წავიდა.

ტყესთან რომ მივიდა, ნახა, ერთი მოხუცებული დედაკაცი ფიჩხს აგროვებდა.

— რას აკეთებ, დედი, აქ,—ჰკითხა დევ-გმირმა.

— განა ვერ ხედავ, ბატონო? ფიჩხს ვაგროვებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავი შენ, რომ საქმე გამოგლევია და მაგისთანა წვრილმან ფიჩხს აგროვებ. მე შენ ადგილას დიდრონ ხეებს ამოვაძრობდი და წავიღებდი სახლში,—უთხრა გარგანტუამ.

— აბა რა ვქნა, ბატონო, მე იმის ღონე ვინ მომცა, რომ დიდრონი ხეები ვზიდო,—უპასუხა დედა-კაცმა.

— მე გიშველი—უთხრა გარგანტუამ და შემოჭკრა თავისი ჯოხი დიდრონ ხეებს, რომლებიც დედა-კაცის წინ ეცემოდნენ. დედა-კაცი ისე შეშინდა, რომ ვეღარ მოითმინა და დაუყვირა:

— კმარა, ბატონო, კმარა! კინაღამ მომკალით!

გარგანტუამ გადააბა ერთმანეთს ეს ხეები და მიუტანა დედა-კაცს სახლში. დედა-კაცმა გამოუტანა დიდი ჯამი და უთხრა:

— თქვენ თითონ გადმოისხით ამ ქვევრიდამ ლუდი და მიირთვით.

გარგანტუამ გადააგდო იქით ჯამი, ამოიღო მთელი ქვევრი და ერთ მოწაფებაზე გამოცალა.

ბოლოს გარგანტუა მივიდა პარიჟში. მთელი ქალაქი წინ გამოეგება, რომ ენახათ ეს საოცარი დევ-გმირი. სელმწიფე სასახლის კართან უცდიდა, მაგრამ გარგანტუა სასახლეში ვერ შეეტია.

— მე ჯერ ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს ამისთანა უშველებელი კაცი,—წამოიყვირა გაკვირვებით საფრანგეთის მეფემ.—მითხარი შენი ამბავი და თავ-გადასავალი, დევ-გმირო.

გარგანტუას არ მოეწონა მეფის ასეთი ლაპარაკი და დაუწყო დაცინვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მდინარე რონის მახლობლად! — სთქვა დევ-გმირმა, — ვნახე ოთხასი კაცი, რომელნიც სსნიდნენ უნაგირს ერთს ცხენს. კიდევ ვნახე ერთი გუდა ერბო, რომელიც ამ თქვენ პარიჟის ოცს სახლზე უფრო უმაღლესი და უდიდესი იყო. ვნახე კიდევ ერთი დიდი მინდორი, საცა წყალში გაქნილი ფქვილის გუბე იდგა და ოცი ცხენი ვერცხლის კოვზებით სვამდა.

— ჰო, შენ მე დამცინი, — დაიყვირა მეფემ, — იცი, ვის ელაპარაკები?!

— ერთ სუსტს და პატარა მეფეს, — უპასუხა გარგანტუამ.

მეფე ძალიან გაჯავრდა:

— შეჰკარით და ციხეში ჩაკეტეთ.

ათასმა კაცმა მოიტანა კანაფის თოკები და შეჰკრეს გარგანტუა, მაგრამ ეს სხვილი თოკები ისე წუდებოდა იმის ხელში, როგორც უბრალო ობობას ქსელი. მაშინ დევ-გმირს შემოესია მთელი რაზმი ჯარი და ურჩევდნენ, დაგვნებდიო.

— მე დაგნებდეთ? რასაკვირველია! — დაიყვირა საშინელის ხმით გარგანტუამ და ერთი ხელით გადაყარ-გადმოყარა მეფე თავისი ჯარით და არხეინად დაბრუნდა სახლში.

საუბედუროდ კიდევ ძალე მოუნდა დევ-გმირს მოგზაურობა. ერთ დილას გადაჰკოცნა ცხარე ცრემლით მოტირალს ცოლს და წავიდა. დიდხანს იარა მგზავრად გარგანტუამ, ხან ერთ მეგობართან შეივლიდა, ხან მეორესთან და ისევ დაბრუნდებოდა სახლში. ერთხელ-კი, როცა შინ მოდიოდა, გზა გადუღობა ერთმა რაღაც საზიზღარმა სულდგმულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა ხარ?—ჰკითხა დევ-გმირმა.

— განა ვერა ჰხედავ ჩემს რქებს და დეზებს? მე ეშმა-კი ვარ.

— რა გინდა ჩემგან?

— მომწყინდა ამდენი ყველასაგან შენი ქება და იმის სმენა, რომ შენ ყველაზე უმაღლესი და უძლიერესი ხარ მთელს დედა-მიწის ზურგზე. მე მინდა შევადარო ჩემი ღონე შენს ღონესთან და აბა ვნახოთ, ვინ აჯობებს. აბა, ვნახოთ, ვინ უფრო მძიმე საჰალნეს ასწევს?

— ძალიან კარგი,—უპასუხა გარგანტუამ—შევუდგეთ რა-ღა საქმეს!

დევ-გმირმა ამოაძრო ძირიანად რვა დიდი მუხის ხე და შეჰკრა ერთად.

— ეგ რა არის?—ჰკითხა ეშმაკმა.

— ეს ჩემი საჰალნეა,—უპასუხა გარგანტუამ.

— განა შენ მაგ სიმძიმე ტვირთის ზიდვა შეგიძლიან?—ჰკითხა ეშმაკმა.

— რასაკვირველია!

— ამ ჯერობაზე-კი სწორედ მაჯობე,—სთქვა ეშმაკმა.

— აბა ახლა სხვანაირად ვშინჯოთ ჩვენი ძალა; აი ამ რუმბს ხომ ხედავ,—თუ შენ ამას გაავსებ შენი სისხლით, მაშინ-კი სრულიად დამარცხებული ვიქმნები.

— ძალიან კარგი,—უთხრა დევ-გმირმა და ვერ შეამჩ-ნია-კი რომ რუმბს ძირში დიდი ნახვრეტი ჰქონდა. გაი-ხსნა მაჯის ძარღვი და მიუშვირა რუმბის ჰირს.

დიდხანს ეჭირა გარგანტუას ხელი და იძახდა:—საკ-ვირველია! რუმბს არაფერი ეტყობა!—მაგრამ მაინც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშორებდა ხელს, რომ დამარცხებულად არ ჩაეთვალა თავისი თავი. დაიცალა სისხლიდამ განთქმული დევ-გმირი გარგანტუა და მკვდარი დაეცა დედა-მიწაზე. ეშმაკს უხაროდა, რომ ამისთანა მთელ დედა-მიწის ზურგზე განთქმული ღონით და ძალით დევ-გმირი დავამარცხეო.

გარგანტუას ცოლმაც ვერ აიტანა ეს მწუხარება და ძალე თან გაჰყვა ქმარს.

დევ-გმირის გვამს შეაბეს სამი ათასი უღელი ხარკამბეჩი და ისე წაიღეს ერთ დიდს ველზე, საცა დაასაფლავეს და დღეს აქნობამდისაც იქ ასაფლავია, ეშმაკის მანქანებით დამარცხებული, განთქმული დევ-გმირი გარგანტუა.

ეკ. მ—სა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე-ჩქარის ამბავი

ქარა, ჩქარა! — დაეძახოდი დილას ნალბანდსაო:
დამიჭედა, მოეაფრინდი ცხენსა ლურჯასაო
და გაეფრინდი, მივარღვევედი წყალს და ხმელეთსაო.
„ნალბანდს სიჩქარით ლურსმანი ხორცში ჩაერჭვაო,
დამიკოჭლდა ცხენი ლურჯა და დამივარდაო.
„დროით ველარ მოვეწივე ჩემს ბეჩავს ხალხსაო,
საომრად მტერზედ მისეულს, ვაი დედასაო!
„სანამ ფეხით მივიდოდი, ურჯულოს ჯარსაო
მთლად გაექლიტა ლაშქარი, ვაგლახ ჩემს თავსაო!...
„დახეთ, რა მიყო ლურსმანმა — პაწაწკინამაო,
სამეფო პირქვე დამიცა იმ წყეულ-კრულმაო!...
„მაგრამ სულ ჩემი ბრალია, რაც დამემართაო:
დამლუპა და შემარცხვინა აჩქარებამაო“!...

ესა სთქვა და შეჰლრიალა მეფემ-ბედშავმაო,
თავში იცა, თმა იგლიჯა, სული დალიეაო.

დ. მაჩხანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცოცხე პეტრიკა

(ფრანგულიდან გადმოღებული)

ეცოცხე პეტრიკა გამჭრიახი, შორ-დამნახველი ყმაწვილი იყო და ჭკუა არ წააგო, რომ ხელობად ცოცხების გაყიდვა ამოირჩია.

პეტრიკას ძალიან ღარიბი დედა ჰყავდა და ქვრივობლობით და ვაი-ვაგლახით ზრდიდა შვილს. ყმაწვილი ჩვილი გულის პატრონი იყო, საშინლად უყვარდა დედა და, რითაც-კი შეეძლო, ეხმარებოდა.

პეტრიკას კარგად ესმოდა, რომ თავის საყვარელ დედას გაჭირებიდამ მხოლოდ მაშინ გამოიყვანდა, როდესაც რაიმე ხელობას დაადგებოდა და ორი სულის გამოსაკვებს იშოვიდა.

ეს იყო პეტრიკას სურვილი და სულ ამაზე ფიქრობდა, მაგრამ არავინ ჰყავდა მრჩეველი, გზაზედ დამყენებელი; ისევ თვითონ ამოირჩია ეს ხელობა და ცოცხების გაყიდვას შეუდგა.

იმ ქალაქ ახლოს, საცა ეს დედა-შვილნი ცხოვრობდნენ, დიდი ტყე იყო და ამ ტყით სარგებლობდა პეტრიკა. იყიდა ერთი მოზრდილი გოდორი, გამოჰქონდა ჩინჩხვარი დედისთვის ტყის-მცველის ნება-დართვით, ჰკრეფდა ყვავილებს თაიგულებად და ამითი ამკობდა დილა-ადრიან თავის მდიდარ მუშტრების კარმიდამოს.

მაგრამ ყმაწვილის ყურადღება უფრო ცოცხების შეკვრასა და გაყიდვაზედ იყო მიქცეული.

ყველა დიასახლისი იცნობდა ამ პატარა მეცოცხეს; ხედავდნენ, რომ იმის მოტანილი ცოცხები მაგრადაც არის შეკრული და კარგიცაა, ამიტომაც ყოველთვის დიდი მუშტარი ჰყავდა ამ ყმაწვილს. ამასთანავე ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი იცოდა და ამითაც ბევრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზიდავდა. დაინახავდნენ თუ არა პეტრიკას, მაშინვე დაუძახებდნენ:

— მეცოცხე პეტრიკავ, ჩვენც უნდა მოგვიტანო ცოცხი... წყალში ხომ შაურს იღებ?...

ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შეკვეთილ საქმეს პეტრიკა არ დაივიწყებდა და კარგადაც აასრულებდა.

რამდენსაც უფრო საესე გოდორს გამოიტანდა ტყიდამ, იმდენად უფრო მხიარული დადიოდა პეტრიკა, ცუდუბრალოდ ქუჩებში ხეტიალი-კი ძლიერ სძულდა.

მხოლოდ ერთხელ დაუგვიანდა, შინ დაბრუნება, ისიც იმიტომ, რომ უცნაური ამბავი შეემთხვა გზაზე.

პეტრიკას სახლი შორს იყო და უნდა გაევლო სახელმწიფო ბალი, საცა ყოველ დღე დიდ-ძალი ყმაწვილები დაჰყავდათ სასეირნოდ.

პეტრიკა სიხარულით აჩხარუნებდა ჯიბეში დღიურს მონაგებს და თან იღლიაში დაჭერილი ჰქონდა ცოცხი, რომელიც მეზობელმა შეუკვეთა.

ბალში გავლის დროს უეცრად შემოესმა რაღაც ხმაურობა პეტრიკა შედგა და კურდღელსავით ყურები ცქვიტა:

— დედავ!... დედიჯან!...—მოესმა ყმაწვილის ხმა და თან ქვითინი.

პეტრიკა მაშინვე მიხვდა, რომ ყმაწვილი ვისმეს დაჰკარგვიაო, თორემ ამ ბინდზედ ყმაწვილს აქ რა უნდაო, და მსწრაფლად მივიდა ბავშვთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბრალოს ბედი ჰქონია, რომ აქ გამოვიარე,—სთქვა პეტრიკამ გულ-შემატკივრობით,—შიშისაგან და დალალვისგან სიცოცხლე ალარ ეტყობა. მერე დაიხარა და უთხრა:

— პაწაწინავ!... ნუ სტირი... მე მიგიყვან შინ...

პეტრიკა დასწვდა ასაყვანად და ეგონა, რომ ბავშვი სიხარულით მივიდოდა იმასთან, მაგრამ ბავშვმა დაინახა თუ არა გოდორი, მოჰყვა საშინელ ყვირილს, ხელების ქნევას და შიშით თვალებს ხუჭავდა.

— არა, არ მინდა, ნუ წამიყვან, შე ბავშვების პარიავ!... დამეკარგე!...

— ბავშვების პარიაო! — გაკვირვებით გაიმეორა მეცოცხემ და გადიხარხარა: — ნუ გეშინიან, პაწიავ, ეტყობა, ბევრი ზღაპრები უამბნიათ შენთვის... მე შენ ცუდს არას გიზამ... შენს დედას მიგგვრი.

პეტრიკას აბზეკილი ცხვირი და აცერცქნილი პირის სახე ბნელაში ბავშვს ცუდად ეჩვენა, მაგრამ, მეცოცხეს ალერსიან და მოსიყვარულე თვალებს კარგად რომ დააცქერდა, დაწყნარდა და ჩაჩუმდა.

— დედა!... დედა მინდა ენახო! — სთქვა მისუსტებული ხმით ბავშვმა.

— ადვილი სათქმელია, დედა მინდა ენახო, — ამბობდა თავისთვის პეტრიკა,—ჯერ პოვნა არ უნდა დედას!..

დიდი მოთმინებით და ალერსით მოუყვა ბავშვს გამოკითხვას, მაგრამ ვერა გააწყო-რა, ვერც სახელი და ვერც ბინა ბავშვის დედისა ვერ შეიტყო. პეტრიკა ჩაჩუმდა, აკოცა ბავშვს და უთხრა:

— წამო, წავიდეთ!

აქაც დაბრკოლება აღმოჩნდა: საბრალო ბავშვი ველარ იძროდა.

— რა ექნა, ასე ხომ ვერ დავტოვებ ამ საცოდავს,—სთქვა პეტრიკამ და ერთი კიდევ ხმა მაღლა ჩასძახა ბავშვს:

— წამო! არ წამოჰყვები ბავშვების პარიას?!

ყმაწვილს ალარა ესმოდა-რა, იქვე ბალის სკამზედ მიდო თავი და ჩაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ სულ არ გავიდა ხუთი წამი, რომ მეცოცხე პეტრიკა გამოვიდა ბალიდამ და ჩქარი ნაბიჯით წავიდა შინისკენ.

გზაზე ყველა პოლიციის მოხელეს ასწავლიდა თავის ბინას, რა არის იქნება მოიკითხოს ვინმემ დაკარგული ბავშვი და ასწავლონ, საცა არისო. გზაზედ შეიარა პოლიციაში, გამოაცხადა ბავშვის პოვნა და ისევ ისეთი სიჩქარით გოდორ-აკიდებული და იღლიაში ცოცხებ-ამოწყობილი მოდიოდა შინისკენ.

ამ ამბავმა პოლიცია ფეხზედ დააყენა, ერთი ეძებდა ბავშვს, მეორე აცხადებდა ბავშვის პოვნას. ასე კითხვის-კითხვით ბავშვის პატრონი მეცოცხეს ფეხ-და-ფეხ უკან აედევნა.

ერთი სქელ-სქელი კაცი, რომელიც აღშფოთებით ძლივს სულს იბრუნებდა, და პოლიციის მოხელე სირბილით მივიდნენ იმ ღარიბ ქუჩაში, სადაც იდგა პატარა მეცოცხე და თითქმის ერთად მიადგნენ პეტრიკას დედის სახლს. პეტრიკა ის-ის იყო თავის დაჩეხილ კიბეზედ ადიოდა, რომ შემოესმა აჩქარებული ფეხის ხმა და შემდეგი აჩქარებული ლაპარაკი:

— ჩვენი ჩასაჯდომის ცხენები დაფთხნენ... ხალხი მოგროვდა... ყმაწვილი ერთ წამს ისე გაქრა, რომ თვალი ველარავინ მოეკარით.

— დახეთ... ჩემ ნაპოვნ ნამცეცას ამბავს ლაპარაკობენ... სთქვა თავისთვის პატარა მეცოცხემ,—როგორ გაცხარებული დაეძებენ!... რა გაეხარდებათ... რას მიხვდებიან, თუ სადა მყავს ყმაწვილი...

პატარა მეცოცხე შესდგა და იმათ მოახლოვებას ელოდა, თან ეშმაკურად გულში იცინოდა.

— ყმაწვილო!—უთხრა სქელ-სქელმა კაცმა, შენს გაზდას, ყმაწვილო, მითხარ, სად არის ჩემი ბავშვი?—და მოუთმენლად შესცქეროდა პეტრიკას.

— სუ! ბავშვი არ გააღვიძოთ!—უთხრა პატარა მეცოცხემ, მერე მიუბრუნა ზურგი და სიცილით უთხრა:

— მოძებნეთ გოდორში, ფოთლებ ქვეშ...

ყმაწვილის მამა სიხარულით მივარდა გოდორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბავშვი გოდორში კარგად მოვათავსე, ფეხები ძირს ჩავუწყე, თავი გოდრის ზურგზედ მივუდე და გარშემო სულ ფოთლები ამოვუწყე... ეხლა თქვენ ამოიყვანეთ.

ერთი თვალის დახამხამებაზედ მამამ გოდრიდგან ამოიყვანა შვილი და გულზედ მიიკრა.

ყმაწვილი საჩქაროდ მიჰგვარეს გამწარებული დედას. მშობლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

* * *

მეორე დღეს ბავშვის დედ-მამამ დაიბარა პატარა მეცოცხე, გამოჰკითხეს იმის ოჯახის ვითარება, მერე ჰკითხეს, როგორ და სად იპოვა ამათი ბავშვი და ჰკვირობდნენ, ბალში როგორ გაჩნდა ამათი შვილი. დიდი მადლობა გადუხადეს პეტრიკას და ამ დღიდამ მეცოცხეს ილბალი სხვა ნაირად დატრიალდა. ყოველ გვარ შემწეობას და მფარველობას უწევდა პეტრიკას ეს ოჯახი.

პეტრიკას დიდი ხნის სურვილიც აუსრულდა: დურგალს მიაბარეს ხელობის შესასწავლად.

ამას შემდეგ პეტრიკას სულ ის ელანდებოდა, თუ როგორ გაიჩენს თავის საკუთარ ქარხანას, შესავალზედ როგორ წააწერს — „დურგალი პეტრე შარაშიძე“ — და რა პატივით შეინახავს თავის საყვარელს დედას.

— მშვიდობით, გოდორო! კიდეც შენი წყალობით გამოველ კაი კაცად!

ეს იყო და ეს, — პატარა პეტრიკას აღარ გაუელია ქუჩებში გოდრით და ცოცხებით ხელში.

ს. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირი და მგელი

(თ. რაზიკაშვილის გაგონილი)

ვირი გაეუშვი მინდვრადა,—
სვი წყალი, ხვრიმე ნარიო!
ჭალაზედ შემოეყარა
ერთი პირმურა მგელიო:

— „დაიცა, ვირო, მამიჭერ
პატარა სუკი, მხარიო,
წამოგაწვინო მინდორზედ,
ამოგიტრიხო თვალიო!“

— მგელო, შენ ვერას მიიღებ,
მე სხვა ჯიშისა ვარიო,
ქალაქით მომიტანია
სამნი მარილის ქვანიო.
პატარას შენაც გიწილებ,
შეინელოდი მხალიო.

— „არ ვიცი მხალა-მხულაი,
არცა სჭამს ჩემი გვარიო,
ჩემს მამა-პაპას უყვარდა
გამოსახრაები ძვალიო,
წამოწექ, წამაიჭიმე
მსუქანი კუდის თავიო.
დიდი არ დაიყლოყინო,
არ შამიყარო ჯარიო,
კუდი არ დააცმაცუნო,
არ გამოამთხარო თვალიო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრის-მასრის სანდლის ქალი

(ეს ასათიანის გაგონილი)

ყოფილა და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. დიდხანს შვილი არა ჰყავდა და ღმერთს ევედრებოდა:—„ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ერთი შვილი მომეო!“

შეისმინა ღმერთმა იმის ვედრება და მისცა ერთი შვილი. ეს ყმაწვილი იმისთანა მოზარდი ტანისა იყო, რომ ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ყმაწვილი რომ მოწყენით არ ყოფილიყო, ხელმწიფე ყოველ დღე იბარებდა თავის ვეზირის შვილებს და ამათთან ყმაწვილი თამაშობდა, მხიარულობდა.

ერთხელ ჩვეულებისამებრ ნაზირის შვილი და ხელმწიფისა გაეიდნენ მინდვრად და შვილდ-ისარს ისროდნენ. ხელმწიფის შვილის ისარი მოჰხვდა წყალზედ მიმავალს ბებრის კოკას და გაუტეხა. გაჯავრებულმა ბებერმა დადგა კოკა ძირს, მოუბრუნდა ყმაწვილსა და უთხრა:

— დაგწყეველო, როგორ დაგწყეველო, და შენამც ჩაგვარდნია ისრის-მასრის ქალის სიყვარულიო!

ის იყო და ის, ჩაუვარდა ყმაწვილს იმ ქალის სიყვარული გულში, არ აძლევდა მოსვენებას, არც დღე და არც ღამე: საბრალო გახდა, სანთელსავით დადნა. არც ჭამა იყო მისთვის და არც სმა. შესწუხდა ჩვენი ხელმწიფე. მოიწვია თავისი ექიმბაშები, მაგრამ შვილს ვერა უშველა რა. ბოლოს გარდასწყვიტა, მოდი ეკითხავ, იქნება საიდუმლო რამე ნაღველი აქვსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილო ჩემო, ერთად ერთო თვალის ჩინო, რადა ხარ ეგრე დალონებული, რატომ ადრინდელსავით ტოლებში არა თამაშობ?

ახლა-კი ყმაწვილმა გაბედა და მოახსენა მამას თავისი გულის პასუხი, ესე და ესეა ჩემი საქმეო და, თუ არ წაველ, ის ქალი არა ენახე, მოეკვდებიო.

დალონდა და დაძმარდა დიდებული ხელმწიფე, იმ ერთ შვილზედ ამოსდიოდა მზე და მთვარე და ისიც თავს ანებებდა, მაგრამ შვილის სურვილს უარს ვერ ეტყოდა.

მეორე დღეს ყმაწვილი მარტოდ მარტო გაუდგა შარა-გზასა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიეიდა ერთ ქოხის კარებთან, დაარაკუნა კარები. გამოვიდა ერთი გადახავსებული მოხუცი, გაუღო კარები ღვთის სტუმარს და შეიპატიჟა სახლში.

ვაჟმა უთხრა: შენ დედა და მე შვილიო.

ბებერმა სიხარულით იშვილა ყმაწვილი, რადგანაც უშვილო იყო. ახალ შვილობილს ბებერმა ქათამი დაუკლა. დასხდნენ ორივენი ვახშამზედ.

ვაჟმა ჰკითხა ნადელობსა: — მითხარი, რა ამბავია ამ თქვენ სახელმწიფოშიო?

ბებერმა უპასუხა: — აბა, ჩემო შვილო, ყველას როგორ ჩამოსთელის ადამიანის ენაო, მაგრამ ამას-კი გეტყვი. ჩვენს დიდად სახელ განთქმულს ხელმწიფეს ერთი მშვენიერი, მზეთ-უნახავი ქალი ჰყავსო. ეს ქალი თვალ-მიუწვდენელ კოშკში უზის. ის მთელ სახელმწიფოში არავის უნახავს, იმ გოგოებ გარდა, ვინც იმას საჭმელ-სასმელს უზიდავენ. როგორც მზე კარგა დიდი-კაცის სადილობისკენ გადაიხრება, გოგოები მივლენ კოშკის ძირს და დაიძახებენ:

ისრის-მასრის სანდლის ქალო!
გადმოყარე გიშრის თმანი;
ამიყვანე, შენთან დამსვი,
შენი მესურვილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც გოგოების ხმაზედ გამოვა, გადმოჰშლის გიშრის თმას, აიტანს სასმელ-საჭმელს და ცარიელ ჯაჭეს უკან გადმოჰყრის.

გაათავა თუ არა ბებერმა ეს ამბავი, ვაჟმა ისეთი ამოიქშინა, რომ თითქო ას ლიტრიანი საპალნე მოიშორა ზურგიდგანაო.

ნადედობმა ჰკითხა: შენ რად ამოიქშინეო?

ვაჟმა უთხრა: ასე და ასეა ჩემი საქმეო, თუ ის ქალი არა ენახე, მოვკვდებიო.

— თუ აგრეა, შვილო, ხვალვე იყიდე ერთი კაი ჭედილა, გასჭერი ოთხად და მისვლის უმალვე კოშკის ძირას ოთხი ქოფაკი მოგვარდება, იმათ მიუგდე, შენ კიდევ იდროვე და გოგოებს მიასწარი. როგორც გასწავლე, ისე შესძახე, მაშინ ქალი გადმოჰშლის თმებს, შენ მაგრა ჩაჰკიდე ხელები და აჰყე. იქ, შვილო, შენ იცი, ამას-კი გეტყვი, ფთხილად იყავი, თორემ ის ძალიან კუდიანი ქალია და ძალლებს არ გააფუჭებინოს შენი თავი.

მეორე დღეს ვაჟმა გადიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და შეუდგა საქმეს: იყიდა ერთი კარგად გასუქებული ჭედილა, დაჭკლა, გასჭრა ოთხად, ჩასდო ხურჯინში, გადაიკიდა მხარზედ, დადგა კოშკის შორი-ახლოს, მიათვალიერ-მოათვალიერა მიდამო და დაინახა, რომ ქალის ასავალ კარებში აფთარსავით ძალლები არიან. მივიდა იმათთან და გადუყარა ხორცი. თითონ დადგა კარებში და ნაზის ხმით შესძახა:

ისრის-მასრის სანდლის ქალო!
გადმოყარე გიშრის თმანი,
ამიყვანე, შენთან დამსვი,
შენი მესურვილებანი.

ქალმა გადმოშალა გიშერსავით შავი თმა. ვაჟმა მაგრად ჩასჭიდა თმაში ხელები და აჰყვა ქალს კოშკში. ქალი და ვაჟი რომ დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს, ქალმა დიდხანს ჩუმად უყურა ვაჟსა და მერე უთხრა:

— მე შენ ძლიერ მოგწონხარ, მაგრამ მამა ჩემი ჩემ თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ არ მოგათხოვებს, მინამ ერთი კარგად არ გამოგცდის ვაჟკაცობაშიო.

ქალმა ვაჟი გადაახედა კოშკიდან და დაანახვა თავის მამის სახლის გალავანი, რომელსაც გარშემო სულ კაცის თავები ჰქონდა შემორტყმული.

— აი ჰხედავ იმ კაცის თავებს? ისინი სულ ჩემი მთხოვნელები იყვნენ: მამა-ჩემმა სუყველას თავები დასჭრა, რადგანაც, რაც იმან დაავალა, იმათ იმისი ასრულება ვერ შეიძლეს.

ვაჟს ეცვალა ფერი, ჩაჰკიდა თავი ძირსა და ფიქრობდა:—რა ექნა, რითი ვუშველო თავსაო?

ქალმა უთხრა:—ნუ გეშინიან, მაგ გაჭირვებიდგან მე დაგიხსნიო, ოღონდ შენ სწორედ ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგოვო: ხვალვე დილით მიდი მამა-ჩემთან და მუხლ-მოდრეკით მოახსენე:—დიდებულო ხელმწიფევ, მე მსურს შენი ქალი ვითხოვო-თქო. ის მაშინვე გეტყვის, კარგი და ჩინებულიო. აბა თუ მართლა ჩემი ქალი გინდა შეირთოვო, ეს კუნძი ნაფოტებად აქციეო. შენც გაგიხარდება, აიღებ კუნძს ხელში, დაჰკრავ და ცულს ყური მოგიტყდება. ეს ჩემგნით იცოდე, რომ ის კუნძი ხისა-კი არა, რკინისაა. მერე მოგცემს ხელში წყლით სავსე ჯამსა და გეტყვის: ეს ჯამი ისე უნდა აიტანო ჩემ ალვის ხეზედ, რომ ერთი ცვარი არ დააქციოვო.

ვაჟმა რა მოისმინა ქალის ამბავი, შესძახა:—ვაიმე! შეუძლებელი როგორ უნდა შეეძლოვო?

ქალმა მაშინვე გამოიძრო ნეკის ბეჭედი, მისცა ვაჟსა და უთხრა: აი ეს ბეჭედი, როცა ცული მოგცენ ხელში, ჩუმად ნეკზედ გაიკეთე და ერთ თვალის დახამხამებაში რკინის კუნძს ნაფოტად აქცევო; როცა წყლით სავსე ჯამი მოგცენ ხელში, მაშინ ჯამში ჩააგდე ბეჭედი და ერთი ცვარიც არ დაიღვრებაო.

მეორე დღეს ვაჟი მივიდა ქალის მამასთან და სთხოვა ქალი. ხელმწიფემ გამოატანინა ეზოში რკინის კუნძი და მისცა ვაჟს ცული. ვაჟმა ჩუმად ბეჭედი გაიკეთა და ერთ თვალის დახამხამებაზედ ნაფოტებად აქცია. გაუკვირდა ხელმწიფეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე გამოატანინა წყლით სავსე ჯამი. ვაჟმა ჩუმად ბეჭედი ჯამში ჩააგდო, ჯამიც ისე აიტანა ალვის ხეზედ, რომ ერთი ცვარიც არ დაულვრია. მაშინ ხელმწიფემ გადაჰკოცნა ვაჟსა და ურჩრა:

— აი შენისთანა სიძე მინდაო!

შემდეგ გასცა ბძანება, ვაჟი მოერთოთ ისე, როგორც ეკადრებოდა ხელმწიფის შვილსა, მერე მოიწვია ყოველი წარჩინებულნი, ნაზირ-ვეზირნი. ჩამოიყვანეს მზეთ-უნახავი ისრის-მასრის სანდლის ქალიცა, დასწერეს ჯვარი და ისეთი სუფრა გაუშალეს მოწვეულებს, რომ ჩიტის რძეც-კი თავ-საყრელი იყო.

მოწვეულები თორმეტი დღე ლხინობდნენ. მეცამეტე დღეს ვაჟი ავიდა კოშკში, გაიხედ-გამოიხედა, დაინახა თავისი მამის სახელმწიფო და დალონებული ჩამოვიდა ძირსა. ქალმა ჰკითხა,—რამ დაგალონაო?

ვაჟმა უთხრა,—მამა ჩემს მკედარი ვგონიავარ და სახელმწიფოსათვის შავი კარავი გადაუფარებიაო.

ქალმა უთხრა,—ოლონდ შენ ნუ დალონდები და წავიდეთ შენ დედ-მამასთანაო.

ქალმა და ვაჟმა გამოუცხადეს ხელმწიფეს თავიანთი სურვილი; ხელმწიფემ თვალ-მარგალიტით დაატვირთვინა ჯორ-აქლემები და გაისტუმრა ქალ-სიძე.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ზღვის პირას, ჩამოჰხადეს ჯორ-აქლემებს და დასხდნენ ზღვის პირას. ვაჟს ძილი მოერია, მიდო ქალის მუხლზედ თავი და დაიძინა. ქალს წყალი მოსწყურდა. ზღვის პირას არაბის ქალი იდგა. ქალმა სთხოვა:

— დედა-შვილობას, ერთი ცვარი წყალი ჩამაყლაპეო!

არაბის ქალმა იწყინა, ხელი ჰკრა ისრის-მასრის სანდლის ქალს და ჩააგდო ზღვაში. თითონ წყნარად აუწია ვაჟს თავი, დაიდო მუხლზედ და დაჯდა.

ვაჟმა გამოიღვიძა თუ არა, შეხედა ქალსა, შეეშინდა და ჰკითხა,—რა დაგმართვიაო?

ქალმა უთხრა,—წყეულმა არაბის დედა-კაცმა სილა შემომკრა, და პირი ასე გამიშავდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღონდა და დაძმარდა ვაჟი, მაგრამ რას იზამდა. გაუდგა გზასა. მესამე დღეს მივიდა თავის მამის სახელმწიფოში. მამამ რა გაიგო შვილის დაბრუნება, მაშინადვე გადაჰხადა სახელმწიფოს შავი კარავი. მოიწვია თავისი ნაზირ-ვეზირი, გამართა ლხინი, მაგრამ ხელმწიფის შვილი-კი დიდად მოწყენილი და ნაღვლიანი იჯდა, ვერაფრით ვერ გაამხიარულეს.

ჩვენი ისრის-მასრის სანდლის ქალი-კი ოქროს თევზად იქცა. ერთმა მეთევზემ დაიჭირა და დაღონებულ ხელმწიფის შვილს მოჰგვარა გასართობად. ხელმწიფის შვილმა დააკვლევინა თევზი, მაგრამ დაჭრის დროს ერთი ფხა დერეფანში დაეცა. ეს ფხა მშვენიერ ალვის ხედ იქცა.

დილით ხელმწიფის შვილი რომ კარზედ გამოვიდოდა, ეს ალვის ხე ჩამოუშვებდა ტოტებს, დაეკონებოდა კაცსა და ისევ გასწორდებოდა; ღამე კიდევ ქალად გადაიქცეოდა და როცა ვაჟი სანთლებს ჩააქრობდა და დაიძინებდა, ქალი ორსავე ხელებს მოჰხვევდა, იტირებდა, ატირებდა, ცრემლის გუბეს დააყენებდა და გათენებისას ისევ ალვის ხეთ იქცეოდა ხოლმე.

ვაჟს უკვირდა, – რა ექნა, ვინ არის ჩემ ოთახში და ვინა სტირისო, და სთქვა, ერთი თუ არ ვუდარაჯე, არ იქნებაო.

დაღამდა თუ არა, ვაჟი ჩაწვა ლოგინში, ჩააქრო სანთლები და თავი მოიმძინარა. შუაღამისას, ენახოთ, ვიღაცა შემოვიდა იმის ოთახში, მოეხვია ვაჟს და დაიწყო გულ-მოსაკლავი ტირილი.

ვაჟმა ჯერ-კი ყური უგდო და მერე გულმა აღარ გაუძლო, დაუჭირა ქალს მაგრა ხელები და ჰკითხა: მითხარ, რა სულიერი ხარ და ან რადა სტირი აგრე გულსაკლავადაო?

ქალმა უთხრა:—აანთე სანთელი და შენ თითონ მიცნობ, ვინცა ვაროო.

ვაჟმა აანთო სანთელი და დაინახა თავისი ისრის-მასრის სანდლის ქალი. ქალმა უამბო ვაჟს თავისი თავგადასავალი. მეორე დღეს ვაჟმა სიხარულით მიიყვანა თავისი ცოლი დედ-მამასთან.

გახარებულმა ხელმწიფემ მეორედ გადაუხადა შვილს ქორწილი. ბოროტი არაბის ქალი-კი კუპრით გალესილ კიდობანში ჩაასმევინა და წყალს მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო

(გადმოკეთებული გერშტეკერის თხზულებიდამ)

თავი პირველი

ბავშვების ქალაქ გარედ გასეირნება

ერთს მშვენიერ მაისის დღეს, სადილს შემდეგ მამამ ქალაქ გარეთ სასეიროდ წაიყვანა თავისი ქალ-ვაჟი, დათა და ტასო.

მშვენიერი ამინდია; ლურჯი ცა მოწმენდილია; მზე თავის მაცხოველებელ სხივებს უხვად უგზავნის დედა-მიწას. ყველა უსულო და სულიერი შეჰხარის, შესტრფის გაზაფხულს. ხალხი მიეშურება მინდორ-ტყეში, რომელიც ეს-ეს არის შემოსილა მწვანის ქათიბით; ცხოველები და ფრინველები სუსხიან ზამთარს შემდეგ განცხრომას ეძლევიან.

მხიარული ტოროლა მაღლა-მაღლა მიდის და გალობით ამკობს ბუნების სიმშვენიერეს; მერცხლები მარდად დასცურავენ ცის სივრცეში, იჭერენ ჭია-ღუას და ბუდისთვის მარდად ამზადებენ მასალას.

მინდორში პირველად გამოუშვეს დამწყვდეული საქონელი. ხბორების ხტუნაობას და ცელქობას საზღვარი არა აქვს.

იცით, რა სასიამოვნოა, როცა მთელი ზამთარი შეკეტილი ზიხარ ოთახში და გაზაფხულზე პირველად გამოხვალ საპყრობილიდგან და თვალს მოავლებ ბუნებას, რომელიც მოფენილია სხვა-დასხვა ფრინველებით და მწერებით?!

ზამთარში თითქმის მიგვავიწყდნენ ფრინველები და მწერები, რადგანაც რამდენიმე თვეა, აღარ გვესმოდა მათი ხმა, აღარა ესტკბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდით მათი გალობით. ეხლა-კი ისევ გვეწვიენენ და გაგვამხიარულეს, გაგვიორკეცეს სიამოვნება.

სხვებზედ ნაკლებ არ შეხაროდნენ დათა და ტასო გაზაფხულის დღეს და ამწვანებულ ტყე-ველსა.

გზა მიდიოდა დაცემულ მინდორზედ, რომელსაც ლურჯი ყდა გადაჰკროდა და შიგა-და-შიგ ათას-ნაირი ყვავილი მოჩანდა, თითქო უზარ-მაზარი მწვანე ხალია დაფენილი და ყვავილები სახეებადა აქესო. მინდორს თითქმის შუა ჰყოფდა მოზრდილი რუ; ამ რუზედ ეიწრო ბოგირი იყო გაკეთებული. გზა ადიოდა მაღალ გორაზედ.

ჩვენი მგზავრები შეუდგნენ აღმართს. მალე დაიღალნენ და ქარის ამოსალებად ხშირად ისვენებდნენ.

როგორც იყო ავიდნენ მთაზედ. იქ იპოვეს კუნძი და ყველანი ჩამოსხდნენ. კუნძს ცოტა ქვემოდ მშვენიერი ციცი წყარო გამოსჩქეფდა; წყაროს გვერდზედ იდგა რცხილა, რომელზედაც საწყლე იყო ჯაჭვით მიბმული, რომ მგზავრმა კამკამი ციცი წყაროთი წყურვილი მოიკლასო.

დათა ასვლისათანავე გაქანდა წყაროსაკენ დასალევად; მაგრამ მამამ შეაყენა და ურჩია, პატარა მოეცადნა, მანამ ოფლი შეაშრებოდა და დაისვენებდა, რადგანაც შესაძლებელი იყო, ციცი წყალი დაღალულ და გახურებულ გულზე სცემოდა და ავად გამხდარიყო.

ბავშვები შემოუსხდნენ მამას აქეთ-იქით და გადაჰყურებდნენ ძირს, მათ წინ გადაშლილს მშვენიერ სურათს.

მთიდგან მოსჩანდა გამოელილი მინდორი და ის ქალაქი, სადაც ისინი სცხოვრებდნენ.

დათა იყო რვა წლისა, ტასო—ექვსისა. ისინი სცხოვრებდნენ ქალაქში და გარდა იმ გორისა, სადაც ეხლა იყვნენ და ქალაქის მახლობლივ მდებარე ტყისა, სადაც ისინი მამას დაჰყვანდა ხოლმე სასეირნოდ, სხვა არა ენახათ-რა.

— ძალიან გულით მინდა ამ მთის იქით გადავიდე და იქიდგან გადავიხედო, იქ რაღა არის,—სთქვა დათამ,—მე მგონია, იქით უფრო მშვენიერი ადგილები იქმნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქიდგანაც იმასვე დაინახავდი, რასაც აქედგანა ხედავ,—მიუგო მამამ,—მთებსა, მინდორსა და ტყესა.

— განა გინახავს შენ ის ადგილები?

— როგორ არა.

— იმ მთებს იქითაც რომ გადავიდე?

— იქაც იმასვე ნახავდი,—მიუგო მამამ ღიმილით:—დედა-მიწა, რომელზედაც ჩვენა ვცხოვრობთ, ძალიან დიდია და თითქმის ყველგან ერთი და იგივე სურათებით არის მოფენილი: ყველგან შეხვედები მთებსა, მინდვრებსა, ღელეებსა, ტყესა და ველსა.

— რა არის, მამა, ველი?—იკითხა ტასომ.

— ველი ჰქვიან იმ ვაკე, დაცემულ ადგილს, რომელიცა სძევს ორ მთას ანუ ორ გორას შუა. ჩვენ ეხლა გორაზედა ვართ, და, როგორცა ხედავთ, ჩვენს ახლოს ძევს მეორე გორა, რომელზედაც, გაიხედე, პატარ-პატარა სახლები მოჩანს, მწვანე ბაღები და ჯაგები. ის დაბალი ადგილი, რომელიც ამ ორ გორას შუა ძევს და რომელზედაც მდინარე ჩამოდის, არის ველი. ამისათვის, სადაც მთები და გორები არ არის, იქ არც ველებია.

— განა არის იმისთანა ადგილებიც, სადაც მთა და გორა არ არის?

— რასაკვირველია. არის იმისთანა ქვეყნები, სადაც სრულებით არ არის მთა-გორა და სადაც ისეთი ვაკე ადგილებია, რომ პატარა გორასაც-კი ვერ იპოვი. ზოგი ამისთანა ვაკე ადგილები შემოსილია ტყით ან საძოვარით, ზოგი-კი ჯაგებით, რომლებსაც მცხოვრებლები ძირიანად აგდებენ და ხვნენ. არის იმისთანა ადგილებიც, სადაც მთა-გორისა და პატარ-პატარა, ვიწრო ველებს გარდა სხვა არ არისრა. ჩვენ ქვეყანაში მთებიც არის, ვაკეებიც და ველებიც. მთები და ზოგიერთა ველებიც შემოსილია ტყითა, რომელიც აჩრდილებს დედა-მიწას, და ამისთვის ზაფხულის სიცხეს ის ადგილები უფრო იტანენ, სადაც ტყეა, და ამიტომ არ გადიხრუკებიან, გადიწვებიან ხოლმე. ტყით შემოსილ მთიდგან გამოჩუხჩუხებს მრავალი წყარო, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწყავს მინდერებს, სიცოცხლეს აძლევს მცენარეებს, ხალხსა და ბა-ქონელს საზრდოს.

— ამისათვის რა საჭიროა წყაროები,—უთხრა დათამ,—აგერ ძირს მდინარე არ არის?

— მერე საიდგან მოდის ეგ მდინარე?—ჰკითხა მამამ.

— ეგ კი არ ვიცი, – მიუგო დათამ.

— თუ არ იცი, ყური დამიგდე და გაიგებ. შენ, რასაკვირველია, შეამცნევდი, რომ წვიმის დროს წყალი ჩამოდის ხოლმე სახლის ბანიდამ: ქუჩის აქეთ-იქითა მხარეს არხებია გაყვანილი, რომ წვიმის წყალმა იაროს. თუ რამდენიმე არხის ნიაღვარი ერთმანეთს შეეყარა, არხი იმატებს, გაიზდება; ერთის სიტყვით, რამდენიც მეტი ნიაღვარი შეიყრება ერთად, იმდენად უფრო დიდდება წყალი.

ესევე ხდება მთაშიაც. ხომ იცით, რომ ძირს პატარა ხევი მოდის. თუ იმ ხევს მიჰყე იქამდე, სადაც ჩადის, შენიშნავ, რომ ის სხვა ხევს უერთდება. მთის სხვა-და-სხვა მხარეს გამოჩუხჩუხებს რამდენიმე წყარო, რომლებიც ძირს, ველში ერთდებიან და მირბიან, მინამ სხვა ხევი არ შეეყრებათ. რამდენიმე ხევი კიდევ ერთმანეთს უერთდება და ამ ნაირად მდინარე ხდება. მაშასადამე რამდენიმე წყაროდგან შესდგება ხევი ანუ ნაკადული, რამდენიმე ნაკადულიდგან—მდინარე.

— ეს როგორღა ხდება,—იკითხა დათამ, რომ ყველა წყარო პოულობს გზასა და უერთდება ნაკადულს, მერე რამდენიმე ნაკადული ერთდება და ჩნდება მდინარე?

— წყარო, ჩემო კარგო,—მიუგო მამამ, — თუ სწორე გინდა, ნაკადულს-კი არ უერთდება, მოსძებნის ხოლმე დაბალს ადგილს და იქ შეგუბდება. წყალს, როგორც იცი, პირალმა სიარული არ შეუძლიან! რამდენიმე წყარო ჩადის დაბალს ადგილს, იქ შეერთდებიან და შეადგენენ ნაკადულს. ნაკადულები—მდინარეს, მდინარე საზოგადოდ ველზედ მოდის; თუმცა ხშირად ეაკე ადგილზედაც მოდის, მაგრამ არ შეიძლება, რომ ის მხარე, საითაც მდინარე მიდის, დაშვებული არ იყოს; აი ამ დაშვებულ ადგილებისაკენ მირბიან ნაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულები და უერთდებიან მდინარეს, რომელიც თან-და-თან იზრდება და დიდდება.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ წყალს რომ ღრმა ადგილი დახვდეს და გასასვლელი გზა აღარა ჰქონდეს, შეგუბდება იმ ადგილს?— ჰკითხა დათამ.

— რასაკვირველია, შეგუბდება, —მიუგო მამამ,—მანამ მთლად არ აივსება ის ღრმა ადგილი. ჯამი რომ აიღო და წყალი ჩაასხა, შეამჩნევ, რომ ნაპირებს არ გადმოვა, სანამ ჯამი არ გალიმცლიმცდება; მაშინ ჯამს ცოტაც რომ კიდევ მიუმატო, წყალი გადმოვა, თუ ნაკადულს ან მდინარეს შეხვდა დაბლობი ადგილი, აავსებს ამ დაბლობს და გაკეთდება ტბა. როცა ტბა ჯამივით გალიმცლიმცდება, მერე წყალი დენას დაიწყებს რომელსამე მხარეს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, წყალი ცდილობს სასიარულოდ დაბალი ადგილი იპოვოს.

თუ წვიმის წყალს შეხვდა იმისთანავე დაბლობი, როგორც მდინარეს ან ნაკადულს, შეგუბდება, მაგრამ სიცხისაგან მალე დაშრება. ამისთანა ადგილს, გ უ ბ ე ს, ჭ ა ო ბ ს ა ც ეძახიან.

როდესაც მთიდგან ძირს მოჩახჩახებს, მორბის წყალი, სთხრის, აღრმავებს იმ ადგილს, რომელზედაც მოდის; ამისთანა წყლისაგან ჩაღრმავებულ ადგილს ჰქვიან წყლის კ ა ლ ა პ ო ტ ი. მაშასადამე, მდინარის კალაპოტი იქნება ის ჩაღრმავებული ადგილი, რომელზედაც მდინარე მოდის. მდინარის ორსავე მხრივ მდებარე ადგილებსა ჰქვიან მდინარის ნ ა პ ი რ ი ანუ კ ი დ ე.

— მერე სად მიდის ამოდენა მდინარეები? შეეკითხა დათა.

— დედა-მიწაზედ როგორც დიდი მთებია, არის აგრეთვე თვალგადუწვდენელი დაბლობი ადგილებიც. მდინარეები მიდიან თავ-ქვე იქამდის, მინამ ამ უზარ-მაზარ დაბლობ ადგილებს არ მიაღწევენ. ამ დაბლობში შეუწყვეტლივ ჩადის რამდენიმე მდინარე და შეგიძლიან წარმოიდგინო, რა აუარებელი წყალი უნდა იდგეს. აი, ამისთანა დაბლობს, სადაც მდინარეები ჩადიან და გუბდებიან, ჰქვიან ზ ღ ვ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ზღვიდამაც არსაით გადის წყალი, მაშ ისიც გუბე ყოფილა,—უთხრა დათამ.

— არა, ჩემო კარგო, ზღვასა და გუბეს შუა დიდი განსხვავებაა. წარმოიდგინე იმისთანა დაბლობი, სადაც, რამდენიმე ათასი წელიწადია მდინარეები ჩადიან, და მაშინ გაიგებ, ზღვა რამდენად გაცილებით დიდი უნდა იყოს გუბეზედ.

— ამოდენა ხანია მდინარეები ჩადის იმ დაბლობში და ჯერაც არ ავსილა?!—გაიოცა ტასომ.

— დიდი ხანია აიესო,—მიუგო მამამ,—მაგრამ წყალი მაინც არ გადმოდის ნაპირებიდგან, რადგანაც სიცხისაგან ძალიანა შრება. წელანვე გითხარით, რომ გუბე სიცხისაგან შრება ანუ ორთქლად იქცევა ხოლმე მეთქი. ესევე ხდება ზღვაშიაც, მაგრამ ზღვა მაინც არა შრება იმისათვის მხოლოდ, რომ როგორცა შრება, ისეც ემატება მდინარეებიდგან წყალი.

როგორ გადიქცევა ხოლმე, მამა, წყალი ორთქლად?—იკითხა დათამ:—შეიძლება კაცმა დაინახოს?

— ხშირად ვერ დაინახავს,—მიუგო მამამ,—მაგრამ განა არ შეგინიშნავს ცივ დღეში, წყალი გეგონება ბოლავსო. მაშინ წყალი ორთქლად იქცევა ხოლმე და მაღლა მიდის.

— როგორ არა,—ფიცხლავ მიუგო დათამ,—ძალინ ხშირად; ისე ასდის ხოლმე ორთქლი, როგორც ცხელ წყალს.

— აი, ხომ ხედავ, ჩემო კარგო, თვალით დაუნახავი წყლის ცვარები ადიან ჰაერში. როცა ეს ცვარები ბევრია, ნ ი ს ლ ს ვ ე ძ ა ხ ი თ. როცა ნისლი კარგა მაღლა ავა, ღ რ უ ბ ლ ე ბ ა დ იქცევა და დედა-მიწაზედ წვეთ-წვეთად ჩამოდის. ამ წვეთებს წ ვ ი მ ა ს ვ ე ძ ა ხ ი თ. ჰაერში ასულს ორთქლს ქარი შემოუბერავს ხოლმე და გადაჰყრის ისეთ ადგილს, სადაც ცოტაა წყალი. ამისთანა ადგილს მოდის წვიმა და სინესტეს არ აკლებს მინდვრებს, ტყეებს და სხვას. წვიმის წყალობით არის ყველგან მცენარეულობა, რომლის ნაყოფითაც სარგებლობს ყველა სულდგმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა გაიხედეთ: მთას შავი ღრუბელი შემოეხვია; სიშავე იმის ნიშანია, რომ ღრუბელი ძალიან სქელია, და დღეს, მგონია, წვიმა გვეწვევა. გავეშუროთ შინისკენ, თორემ დაგვასველებს.

— არა უშავს-რა,—უთხრა დათამ,—სველ ტანისამოსს სამზარეულოში გავფენთ და გაშრება.

— მერე იცი, როგორ გაშრება?—ჰკითხა მამამ.

— ვიცი,—თამამად მიუგო დათამ,—რაც ტანისამოსში წყალი იქმნება, ორთქლად იქცევა.

— მართალია,—მიუგო მამამ ღიმილით,—თქვენ დღეს ბევრი რამ შეიტყეთ; ოფლი შეგაშრათ და დაისვენეთ კიდეც. ეხლა დალიეთ წყაროს წყალი, რამდენიც გინდოდეთ და გავწიოთ შინისკენ, რომ ჩაი არ ჩაგვასწროს. ვერაფერი საქმე იქმნება, თუ თქვენი საყვარელი ჩაიც ორთქლად იქცა.

თავი მეორე

დედა-მიწა ბურთიგით რგვალია

მამა არ შესცდა. ღრუბელი თან-და-თან სქელდებოდა და, მოვიდნენ თუ არა ჩვენი მგზავრები შინ, წვიმამ დაუშვა კიდეც და გათენებამდის არ გადულია.

მეორე დილით წამოხტნენ თუ არა, გაცვივდნენ გარედ ტასო და დათა და თვალ-ყურს ადევნებდნენ თხრილში მოჩახჩახე ნიაღვარს, რომელიც ნაგავსა და ნაფოტებს მიარბეინებდა.

— ტასო, უყურე, — უთხრა დათამ, — ბანის მილებიდგან წყალი ჩამოდის სწორედ ისე, როგორც მამამ გვითხრა გუშინ; მერე, უყურე, რამდენიმე ნაკადული ერთმანეთს შეუერთდენ და პატარა მდინარე შეადგინეს; მე მგონია, ეს მდინარე ქვევით სხვა მდინარეს უერთდება და მერე ზღვაში ჩადის. აქ ახლო იქნება სადმე აი ზღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ მოდი, წავიდეთ და ვნახოთ,—უთხრა ტასომ დათას,— მე ჯერ არ მინახავს ზღვა.

— ძალიან დიდი მანძილის გავლა მოგიხდებათ, — უთხრა მამამ, რომელიც უცებ წაადგა თავს მოსაუბრე და-ძმას. — მანამ ზღვას მიაღწევს, მდინარე ზოგჯერ დიდ მანძილს გაივლის ხოლმე, და ამისათვის შენი იმ სიშორეზე წასვლა შეუძლებელია, რადგანაც სიარულს ვერ შესძლებ.

— იცი, მამა,—უთხრა დათამ,—როცა დიდი ვავხდები, უეჭველად წავალ ზღვის სანახავად. მაგრამ რა გზით უნდა წავიდე? მდინარეს უნდა გავყყე, არა?

— მდინარეს კი არა,—მიუგო მამამ,—გუშინდელ წყაროსაც რომ გაჰყვე, ისიც მიგიყვანს ზღვამდის: ასეც შეიძლება ზღვამდის მისვლა, მაგრამ, თუ გინდა, რომ მოკლედ მოსჭრა გზა, უნდა გასწიო პირდაპირ, არ გადუხვიო აქეთ-იქით და მაშინაც მიხვალ; სხვა-და-სხვა მხარესაც რომ წახვიდე, მაშინაც ზღვასთან-კი მიხვალ, უეჭველად, მაგრამ ზოგგან მალე მიხვალ, ზოგგან გვიან. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მხარეს წახვალ, და ამ მხარეს ახლოა ზღვა, თუ შორს. რომ უფრო უკეთ წარმოიდგინოთ ჩემი ნათქვამი, გაჩვენებთ რუკას, რომელზედაც დედა-მიწაც არის დახატული და ზღვებიც.

— რა სასაცილო მხატვრობაა, — სთქვა ტასომ, როცა იმათ, მამამ რუკა გადუშალა.

— აბა კარგად უყურეთ, — განაგრძო მამამ, — ეს რუკა წარმოადგენს მთლად ჩვენ დედამიწას. რაც ლურჯი წამლით არის დახატული, წყალი ანუ ზღვაა, რომელსაც „ოკეანეს“ ეძახიან. ხომ ხედავთ, რომ ზღვა ერთ ადგილს არ არის შეკუბებული; იმის სხვა-და-სხვა ნაწილში ხმელეთიც არის. ეს ზღვის ნაწილები თავის მდებარეობით განირჩევიან ერთმანეთისაგან და სხვა-და-სხვა სახელები ჰქვიანთ. ხმელეთებსაც თავ-თავიანთი სახელები აქვთ. ამაზედ მერე მოგელაპარაკებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა კარგად არის და!—წამოიძახა დათამ,—სწორედ ისევ, როგორც ჩვენში: მე დათა მქვიან, ამას—ტასო.

— რასაკვირველია,—უთხრა მამამ,—შენ და ტასოს რომ ერთი და იგივე სახელი გვერქვათ, არ გეცოდინებოდათ, თქვენგანს რომელს რა სახელს ეძახიან; ამისათვის ყველა ადამიანს, სავანს სხვადა-სხვა სახელი ჰქვიან, რომ კაცს შეეძლოს მათი ერთმანეთისაგან გარჩევა.

— ეგ კარგი, მაგრამ აქ ორი მხატვრობა რად არის?—შენიშნა ტასომ,—განა ორი დედა-მიწაა?

— არა, ჩემო კარგო,—მიუგო მამამ,—თვითეული მხატვრობა წარმოადგენს ჩვენი დედა-მიწის ნახევარს. ერთად მხოლოდ იმისათვის არის დახატული, რომ ორივე ნაწილი ერთბაშად, ერთად შენიშნოს და დაინახოს კაცმა. მე ამას სხვა ნაირადაც აგიხსნით. დათა, გაიქე, მომირბეინე ის ვაშლი, რომელიც დედამ თქვენთვის შეინახა.

დათამ საჩქაროდ მოარბეინა ვაშლი.

— შემოხედეთ,—მიუბრუნდა მამა ბავშვებს, როცა ვაშლი აიღო ხელში და დაანახვა: დედა-მიწა ბურთსავით, აი, ამ ვაშლისავით რგვალია და არა ისეთი სწორე და ვაკე, როგორც ქაღალდზეა დახატული.

— ბურთისავით რგვალია?..—წამოიძახეს განცვიფრებულმა ბავშვებმა.

— დიახ, სწორედ ბურთსავით რგვალია, მიუგო მამამ, და თუ ვერ ვამცნევთ ამას, ეს მხოლოდ იმისი ბრალია, რომ დედა-მიწა ძალიან დიდი, უზარ-მაზარი ბურთია, და მისი გამობერილი გვერდი, რომელსაც შეგვიძლიან თვალი მივავლ-მოვავლოთ, დედა-მიწასთან შედარებით ისეთივე პატარაა, როგორც პატარა კენჭი დიდ გორასთან.

— რა მიხარიან, რომ ჩვენ მაღლა ვდგევართ,—სთქვა დათამ,—გვერდებზედ რომ ვყოფილიყავით, დავცურდებოდით და ძირს ჩავცვიოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგისთანა ამბავი რომ არა ხდება—უთხრა მამამ,—ბევრ ჯელ შემოუარეს დედა-მიწას გარშემო, მაგრამ ძირს-კი არავინ ჩაცვივნულა და არც ჩაცვივიან.

— რატომ არა ცვივიან, მამა?—შეეკითხა დათა.

— დედა-მიწა, როგორც დიდი სხეული, ყველაფერს იზიდავს, იკრავს, თავისაგან არ იშორებს, რაც-კი იმაზედ და იმის ახლო არის. ეს მაგალითითაც შემიძლიან აგიხსნათ. აბა, დათა, მაღლა შეხტი, ეცადე-კი, რომ რაც შეიძლება მაღლა შეხტე.

— მეც მინდა ვიხტუნაო!—სთხოვა ტასომ.

— ძალიან კარგი, იხტუნეთ ორივემ.

ბავშვებმა მხიარულად დაიწყეს ხტუნაობა.

— ცოტა კიდევ მაღლა,—უთხრათ მამამ.

— არ შემიძლიან,—მიუგო დათამ.

— რატომ?

— არ ვიცი და არ შემიძლიან-კი.

— არც მე შემიძლიან!—უთხრა ტასომ.

— ორივეს, როცა შეხტებით ხოლმე, გგონიათ, თითქოს ძირს გვეწევა ვინმეო, არა?

— სწორედ ეგრეა,—უთხრა დათამ სიცილით.

— აი ხომ შენ თვითონა სცადე,—უთხრა მამამ,—იმ ძალას, რომელიც შენ ძირს გეწეოდა, ჰქვიან „დედა-მიწის მიმზიდველობითი ძალა“. თუ ქვას შეისვრი მაღლა, იცოდე, ისევ დედა-მიწაზედ დაეცემა. რაც უფრო ღონიერად შეისვრი რომელსამე საგანს მაღლა, იმდენი მაღლა წავა, მაგრამ დედა-მიწაზედ მაინც ჩამოვარდება.

— ფრინველები ხომ მაღლა დაფრინავენ, რატომ ისინი-კი არა ცვივიან?—შენიშნა დათამ.

— ეგ მართალია,—მიუგო მამამ,—მაგრამ ფრინველები არა ცვივიან მხოლოდ იმიტომ, რომ, როცა ფრთებს გაშლიან, იმათი ტანი ჰაერზედ სუბუქია და ჰაერს ანდვიან; შეჰკუმშავს თუ არა ფრინველი ფრთებს, მაშინვე ქვასავით წამოვა ძირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად მოხდება, რომ მონადირე ჰაერში ესვრის ფრინველს და თუ მოჰკლა ან ფრთაში დასჭრა, ისე რომ ფრთის ხმარება აღარ შეეძლოს, ძირს ჩამოვარდება ხოლმე.

აი ამ „დედა-მიწის მიმზიდველობის ძალის“ წყალობაა, რომ ჩვენ დედა-მიწაზედ ვსცხოვრობთ და ძირს არა ვცივით.

მე თქვენ უკვე გითხარით, რომ დედა-მიწა ბურთსავით რგვალია, ანუ ბურთის მაგვარია მეთქი და, მგონია, მიხვდებოდით, რისთვისაც არის ამ ქალალდზედ ორგან დახატული. როცა მე ვაშლი მიჭირავს, თქვენ იმისას მარტო ერთ მხარეს ხედავთ, მეორე გვერდი-კი, რომელიც ჩემკენ არის, არა სჩანს. მე ამ ვაშლს შუაზედ გავჭრი და ორსავე ნახევარს სტოლზე დავაწყობ. ეს ვაშლის ნაჭრები გვაგონებენ დედა-მიწის ორსავე ნახევარს, და ამისათვის ვაშლის ორსავე ნაწილს ერთბაშადა ვხედავთ.

დღეს ეს იკმარეთ, რადგანაც დათას სახვალიოდ გაკვეთილები აქვს მოსამზადებელი; ვაშლი-კი ერთი ნაჭერი ერთსა, მეორე—მეორესა, გაფცქვენით და შეექეცით.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ზ ღ ვ ე ბ ი

ჩვენი ბავშვები ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ მამის ნაამბობით. დათამ გაკვეთილების მზადება დაიწყო, ტასომ-კი, რომელსაც შინ ამზადებდა დედა და წერა-კითხვასა და ხელ-საქმეს ასწავლიდა, შემოფარგლა ოთახის ერთი მხარე სკამებით და დაარქვა ამ შემოფარგლულ ადგილს ზღვა. როცა დათა გაკვეთილებს მორჩა, ისიც მიუამხანაგდა დას. ტასომა სთხოვა, რომ ის მდინარე ყოფილიყო და ზღვას შეერთებიყო.

დათამ დიდის სიამოვნებით იკისრა ეს, მაგრამ ისეთის სისწრაფით გაქანდა ზღვისაკენ, რომ რამდენიმე სკამი წააქცია. ტასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჯავრდა და უთხრა, რომ თუ ასე მოუხეშავად ითამაშებ, ახლო აღარ მიგიკარებო.

ნასადილევს გამოიდარა, მაგრამ სასეირნოდ წასვლა მაინც შეუძლებელი იყო ტალახის გამო.

რაკი სასეირნოდ წასვლა ველარ მოუხდათ, დათამ რუკა სთხოვა დედას. ბავშვებმა რუკა სტოლზედ გაშალეს და დაიწყეს სინჯვა იმ მხატრობისა, რომელზედაც დედა-მიწის ბურთი იყო დახატული; მაგრამ ის-კი არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა დაედოთ რუკა. ტასომ რამდენჯერმე მიაბრუნ-მოაბრუნა; დათა არწმუნებდა,— რუკა ისე უნდა დაიდოს, რომ წარწერების კითხვა შეიძლებოდესო.

დედა მორჩა საქმეს და მივიდა ბავშვებთან, ამათაც სთხოვეს ეთქვა მათთვის სხვა-და-სხვა ქვეყნების სახელები.

— დედა-მიწაზედ,—დაიწყო დედამ,—ბევრი ქვეყნებია; მე რომ ყველას სახელებს მოგიყვეთ, ბევრს ვერ დაიხსომებთ. აქ, რუკაზედ დახატულია სხვა-და-სხვა ფერის წამლით ხუთი დიდი ხმელეთი. ყველა ხმელეთი განიყოფება რამდენსამე სახელმწიფოდ. ამ სახელმწიფოებში არის ქალაქები და სოფლები, სოფლებში და ქალაქებში სახლები, რომლებშიაც ხალხი სცხოვრობს.

— ჩვენ ევროპაში ვცხოვრობთ, არა დედა?— ჰკითხა დათამ.— შენ რამდენჯერ გითქვამს, ჩვენ ევროპაში ვცხოვრობთო. რუკის ერთ ნაწილს დიდის ასოებით აწერია: „ევროპა“.

— მართალია,—მიუგო დედამ,—ეს ხმელეთი, რომელზედაც ჩვენა ვცხოვრობთ, ევროპაა; მერე, ყვითელი ფერის ხმელეთს, მარჯვნივ რომ სძევს, აზიაჰქვიან; ეს შავი ხმელეთი—აფრიკაა; მარჯვნივ, ცოტა ქვემოდ რომ სძევს—ავსტრალიაა; ეს ძალიან დიდი ხმელეთი, აი გრძლად რომ გაწოლილა—ამერიკაა.

— ეს სხვა-და-სხვა ფერის წერტილები და ლაქები რაღას ნიშნავენ ზღვაში?

— ეგ კუნძულებია. მცირე ნაწილს ხმელეთისას, რომელსაც წყალი არტყავს გარშემო, ყოველ მხარეს, კუნძული ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ხმელეთიც კუნძული ყოფილა,—უთხრა დათამ,—ამა-საც ხომ წყალი არტყია.

— არა; მარტო ხმელეთის მცირე ნაწილს თუ არტყია წყალი, იმასა ჰქვიან კუნძული,—მიუგო დედამ,—ეს დიდი ნაწილები-კი, როგორც გითხარით, ხმელეთია. ევროპა და აზია შეადგენენ ერთ დიდ ხმელეთს, რადგანაც, როგორცა ჰხედავთ, იმათ შუა ზღვა არ არის, აფრიკა და აზია-კი შეერთებულნი არიან ვიწრო ხმელეთით, რომელსაც ყელს ეძახიან. ეს ყელი ეხლა გაჭრილია და არხია გაყვანილი.

ამერიკაც ხმელეთია; არამც თუ ამერიკა, ავსტრალიაც-კი, თუმცა გარს წყალი არტყია და, თუ ხმელეთი ჰქვიან, მარტო იმისათვის, რომ დიდია. დანარჩენი ხმელეთის ნაწილები-კი, რომელნიც ხმელეთს არიან მოშორებულნი, კუნძულებია. ყველა კუნძულს თავისი სახელი ჰქვიან; ბევრი მათგანი მცენარეულობით არის შემოსილი და ზედ ხალხი სცხოვრობს.

— როგორ! განა კუნძულები წყალში დატივტივებენ?—ჰკითხა ტასომ.

— არა, ჩემო კარგო,—მიუგო დედამ,—ისინი უძრავადა სდგანან ერთ ადგილს... აი მამაც მოვიდა, თუ გინდათ, სთხოვეთ და ის გიამბობთ დანარჩენს.

— ვერ უყურებ, როგორ შეჰყვარებიათ რუკა!—გაეხარდა მამას, როცა დაინახა, რომ ბავშვები რუკას მოსხდომიან და სინჯავენ.—აბა, მითხარით, რა გიამბოთ დედამ.

— ამერიკაზედ და ევროპაზედ,—უთხრა ტასომ,—ეხლა მე ვიცი, რომ ევროპაში ვცხოვრობთ.

— აი თურმე კიდევ რა გცოდნიათ,—უთხრა მამამ სიცილით.

— ტასომ ჰკითხა დედას, კუნძულები ზღვაში დატივტივებენო, და დედამ გვითხრა,—არაო,—უთხრა დათამ. შენ გვიამბე რამე კიდევ კუნძულების შესახებ.

— ბატონი ხარ; მაგრამ შენ რად გვგონა, ტასო, რომ ვითომ კუნძულები დატივტივებენო.

— დედამ მითხრა,—მიუგო ტასომ,—კუნძული წყალში ძევსო, და იმისათვის ვიკითხე, რომ რაც წყლის ძირშია, იმას ვერა ვხედავთ, რაც წყალ ზევით არის—იმას-კი ვხედავთ.

— მართალი ხარ, მაკრამ აქ სულ სხვა საქმეა. როგორც ხმელეთზეა ველები, ვაკეები და მთები, ისე ზღვაში, ამისათვის ზღვის სიღრმე ყველგან ერთ-ნაირი არ არის. ზოგან ისეთი ღრმაა, რომ ჯერაც არ იციან იმისი ნამდვილი სიღრმე; ზოგან-კი დიდი მთებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის ძირიდგან ამომართული; და, თუ მთის მწვერვალი წყალს არის ამოცილებული, ეს მწვერვალი შეადგენს კუნძულს. არის იმისთანა კუნძულებიც, რომლებზედაც ტინისა და ქვიშის მეტი არა მოიპოვება რა; ზოგზე-კი მშვენიერი მსუქანი ნიადაგია და შემოსილია სხვა-და-სხვა მცენარითა და ტყითა. ზოგი კუნძული ისე მაღლაა წყალ ზევით ამოტყორცნილი, რომ თვითონ წარმოადგენს მაღალ მთას, ველებითა და ეაკეებით შემკულს.

ბავშვები დიდის გულმოდგინებით უგდებდნენ ყურს მამის ნაამბობს.

— მარტო ნავით შეიძლება არა, მამა, კუნძულებზედ გადასვლა? იკითხა დათამ, როცა რუკას დაუწყო სინჯვა.

— რასაკვირველია; ეგ იმისათვის, რომ გარს ზღვა არტყია. ზოგი კუნძული ისე შორს არის ხმელეთზედ, რომ არამც თუ ცურვით შეუძლებელია იქამდის მისვლა, გემითა და ხომალდითაც-კი რამდენსამე კვირას უნდებიან.

— აზიაში მისვლა ხმელეთით ხომ შეიძლება, ისე რომ ზღვით არ მოუხდეს კაცს სიარული?—იკითხა დათამ.

— როგორ არა. აზია და ევროპა შეადგენენ ერთ ხმელეთს და განიყოფებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ულელტეხილით. ამ ცოტა ხნის წინად აზიიდგან აფრიკაშიაც შეიძლებოდა ხმელეთით გადასვლა, ეხლა-კი, რაც დიდი არხი გასჭრეს და ორი ზღვა შეაერთეს,—შეუძლებელია.

— ეს აზიისა და აფრიკის შემაერთებელი ხმელეთი ხომ ძაფზე განიერი არც-კია?

— ნამდვილად-კი განიერია, - მიუგო მამამ ღიმილით,—ვიწროა მხოლოდ აფრიკის და აზიის ხმელეთთან შედარებით. ამისთანა ვიწრო შემაერთებელ ხმელეთსა ჰქვიან ყ ე ლ ი.

— მაშ ამ წითელ ხმელეთზედაც ყელი ყოფილა,—წამოიძახა დათამ, და ხელი დაადო რუკას.

— მართალი ხარ, ეს ვიწრო ხმელეთიც, რომელიც ამერიკის ორსავე ნაწილს აერთებს, ყ ე ლ ი ა.

— ამ ნაირსავე ამბავს ეხედავთ ზღვაშიაც,—განაგრძო მამამ,— იქაც „ყელსავით“ ვიწრო წყალი აერთებს ხოლმე ორ ზღვას. შეგიძლიან იპოვო სადმე ამ ნაირი წყალი რუკაზედ? —ჰკითხა მამამ დათას.

დათამ დაუწყო რუკას სინჯვა; ბოლოს იპოვა ერთი ამ გვარი ადგილი, სადაც ყვითელი აზია და წითელი ამერიკა თითქმის უერთდებიან ერთმანეთს.

— ვიპოვე! —წამოიძახა გახარებულმა დათამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო, სწორედ ეგ არის. ეგ ვიწრო წყალი აერთებს ორ ზღვას და ჰქვიან ს რ უ ტ ე.

— ოხ, რა კარგი იქმნება ზამთარში, როცა ზღვა გაიყინება, იმაზედ მარხილით გასრიალება!—სთქვა ტასომ.

— ჰო და!—კვერი დაუკრა დათამ! — რა გულით მინდა გაყინულ ზღვაზედ წრიაპებით სრიალი!

— ძალიან მოსტყუვდებოდი,—უთხრა მამამ სიცილით,—შენ ზღვის წყალი ისეთი ხომ არა გგონია, როგორც ჩვენ მდინარეებში და ტბებშია: ზღვის წყალი ძალიან მლაშეა, და მლაშე წყალი-კი ეგრე ადვილად არ იყინება.

— განა ეს ამოდენა ლურჯი წყალი, რომელიც რუკაზეა დახატული, მლაშეა?—გაიკვირვა დათამ.

— ჰო და აბა ეგ წყალი სულ მლაშეა!—მიუგო მამამ,—თვალგადუწვდენელი ოკეანე თავის დღეში არა სდგას უძრავად, როგორც გუბე: იგი ქარისაგან ირყევა, ღელავს და ამისათვის ძნელად იყინება. საზოგადოდ მდინარე, მოძრავი წყლის გაყინვა უფრო ძნელია, მინამ მდორესი.

— მერე მლაშე რად არის ზღვის წყალი?—იკითხა დათამ,—ზღვაში ჩამავალი მდინარეები ხომ მლაშე არ არიან!

— ეგ მართალია, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ მდინარეს ურევია სხვა-და-სხვა ხაშური, თუმცა იმდენი-კი არა, რომ ზღვასავით დამლაშდეს და სასმელად აღარ ივარგოს; ზღვის წყალში ძალიან ბევრი ურევია და ისე ამლაშებს, რომ სასმელად მისი ხმარება შეუძლებელია, რადგანაც სიმლაშის გარდა, ძალიან მავნებელიც არის.

— რა არის, მამა, ხაშური?—იკითხა ტასომ.

— ხაშური, ანუ ქვება, ძალიან ჰგავს მარილს, რომელსაც ჩვენ საჭმელში ვხმარობთ. ხაშურს ძალიან მწუთხე გემო აქვს; ხაშური ბევრია ქვებში, ტინიან მთებში და მიწაში.

— მე მაინც ვერ გამიგია,—სთქვა დათამ,—რად უნდა იყოს ზღვაში ბევრი ხაშური, როდესაც მდინარეებში და წყაროებში ცოტაა?

— ეგ ძალიან ადვილი მისახვედრია. ხომ გახსოვთ, რა მიზეზის გამოც არ გადმოდის ზღვის წყალი ნაპირებზედ?

— იმის გამო, რომ ორთქლავს, შრება,—მიუგეს ბავშვებმა.

— მართალია: შრება იმდენად, რამდენიც მდინარეებიდგან ემატება და ამისათვის არც აკლდება, არც ემატება. უნდა იცოდეთ, რომ შრება და ორთქლად იქცევა მხოლოდ წყალი, ხაშური-კი ზღვაში რჩება. რასაკვირველია, დიდი ხანია, რაც ზღვა ორთქლავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრება, ხაშური-კი რჩება, და იქამდის დამლაშდა ზღვის წყალი, რომ მისი ხმარება აღარ შეიძლება.

— მაშ თუ აგრეა, მდინარის წყალიც შეიძლება ვეძად ვაქციოთ?—ჰკითხა დათამ.

— ძალიან ადვილად: ჩაასხი ჯამში მდინარის წყალი და დადგი,—წყალი ნელ-ნელა დაშრება. რამდენიც შეატყო რომ კლებულობს, იმდენი უმატე, და რამდენსამე დღის შემდეგ ნამდვილი ვეძა იქმნება. როცა რომელიმე ტბა შრება, წყალი ვეძად იქცევა ხოლმე.

მამამ წასელა დააპირა, მაგრამ ბავშვებმა შეაყენეს და სთხოვეს, რომ ზღვის სახელებიც ეთქვა მათთვის.

— ყველა ხმელეთის სახელები ვიცით და ზღვისა-კი არც ერთი,— შესჩივლეს ყმაწვილებმა.

— კარგი, გეტყვით ზღვების სახელებს,—დასთანხმდა მამა:—აი ამ დიდ ზღვას, რომელსაც ერთ მხარეს ეძევს ევროპა და აფრიკა, მეორეს – ამერიკა, ატლანტის ოკეანეს ეძახიან; ამერიკის იქით რომ ზღვა ძევს, იმას ჰქვიან დიდი ანუ მშვიდი ოკეანე; ამას-კი, აფრიკის მარჯვნივ და აზიის გვერდზედ რომ ძევს, ინდოეთის ოკეანეს ეძახიან. ამ ოკეანეს ინდოეთისას იმისთვის უწოდებენ, რომ აზიის იმ ნაწილის გვერდზედ არის, რომელსაც ინდოეთი ჰქვიან.

ოკეანის გარდა, ბევრი ზღვებიც არის. მაგალითად, ერთი იმისთანა ზღვა ძევს აზიასა, აფრიკასა და ევროპას შუა და შეერთებულია ატლანტის ოკეანესთან სრუტეთი. შეგიძლიან, დათა, მაჩვენო, რომელ ზღვას ვამბობ?

— შემიძლიან,—მიუგო დათამ და აჩვენა ის ზღვა, რომელიც მამისაგან დასახელებულ ხმელეთებ შუა არის.

— ყოჩაღ, სწორედ მაგ ზღვას ვამბობდი. მაგ ზღვასა ჰქვიან ხმელთა შუა ზღვა, რადგანაც სამ ხმელეთ შუა ძევს.

— განა ზღვა ოკეანეზედ პატარაა?—იკითხა დათამ.

— რასაკვირველია! ზღვა გაცილებით პატარაა ოკეანეზედ.

— იმ ზღვას რაღა ჰქვიან, რომელიც ევროპასა, აზიასა და ამერიკის ზევითა ძევს!

— ყინულეთის ოკეანე,—მიუგო მამამ:— ისეთი სიცივე და ყინვაა მაგ ზღვაზედ, რომ ზღვის ვეძაც-კი იყინება.

კარგია, დღეს ეს იკმარეთ, შემდეგ დანარჩენს გიამბობთ. აბა ხვალ გავიგებ, კარგად დაიხსომეთ ზღვების სახელები თუ არა.

— ყინულეთის ოკეანეზედაც გვიამბობ?—შეეკითხნენ ბავშვები.

— დიდის სიამოვნებით. ამ რუკას თქვენთანა ვტოვებ, რომ ყელები და სრუტეები იპოვოთ.

ი. ბაქრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰ ე რ ა კ ლ ი

II *)

ერველად ევრისთემ დაავალა ჰერაკლის ნ ე მ ე ა ს წასვლა და იქაური ლომის მოკვლა. ნემეა იყო ერთი ტყიანი ხეობა, რომელიც ეკუთვნოდა ევრისთე მეფეს. ამ ტყეში ჰბუდობდა ლომი, რომელსაც ისეთი მაგარი ტყავი ჰქონდა, რომ არაფერი ისარი მას არ ეკარებოდა. როდესაც მწყემსები შუბებს ესროდნენ ხოლმე, ისე ვერაფერს აკლებდნენ, როგორც კლდეს. ლომი-კი დაერეოდა ნახირს და სულ სისხლის ღვარს ადენდა, ისე დაჰგლეჯდა საქონელსაც და მწყემსებსაც.

ჰერაკლი წავიდა ნემეას ტყეში და ჩაესაფრა ერთი ხის ძირს. გავიდა ცოტა ხანი და ლომიც გამოჩნდა. ეს-ეს არის ერთი ხარი შეუჭამია: ტუჩები და ფაფარი სისხლითა აქეს შელებილი. მოდის ლრიალით და ტუჩებს ისლაქავს. ჭექა-ქუხილივით გაისმის მისი ხმა და ყოველი სულიერი შიშისაგან ცახცახებს. მოდის, კუდს ლონიერად იქნევს და ხეებზე კუდით ხათქა-ხუთქი გააქვს.

მოზიდა ჰერაკლიმ მშვილდი და სტყორცნა ისარი. ისარი აასხლტა ლომს და ძირს დაეცა. ლომს არც-კი უგრძვნია რამე, თითქო რწყილსაც არ ეკბინოსო. მაშინ მეორედ სტყორცნა ისარი, და ისე ლონიერად, რომ იფიქრებდა კაცი, სწორედ შუაზე გაჰხვრეტსო. შენც არ მომიკვდე! ვერც მეორე ისარმა აგრძნობინა რამე: ტყავიც-კი ვერსად გაუფხაჭნა, ტყვია ისე დავარდა ძირს.

ამასობაში ლომმაც თვალი მოჰკრა ჰერაკლის: ერთს თვალის დახამხამებაში გაერთხა ლომი მკერდით მიწაზე, მერე ისკუპა

*) I-ლი თავი ნახე „ჯეჯილი"-ს მე-3 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სიშორიდგან და პირდაპირ მიახტა ჰერაკლის. ჰერაკლიმ დაჰკრა თავში კომბალი. ლომი გადურჩა კომბალს, მაგრამ ისეთნაირად კი დარეტიანდა, რომ ცოტა ხანს შესდგა, კბენა ველარ მოახერხა. ამ დროს სტაცა ჰერაკლიმ ყელში ხელი, მოუჭირა რაც ძალი და ლონე ჰქონდა და მიახჩო. მერე გაატყავა ლომი, ტყავი ტანზე წამოისხა და გულზე თათებით შეიკრა, ლომის თავი-კი აიღო და პირგაღებული თავზე ჩამოიცო ჩ ა ფ ხ უ ტ ი ს*) მაგივრად.

ისეთი მაგარი ჰქონდა ლომს თავის ძვლები, რომ ჰერაკლის კომბალი შუაზე გადასტყდა, მაგრამ ჰერაკლიმ იქვე გამოსჭრა ტყეში ახალი კომბალი და მასუკან სულ ლომის ტყავით დადიოდა და კომბალი მუდამ ხელში ეჭირა.

როდესაც დაბრუნდა ჰერაკლი ნემეას ტყიდგან და მოახსენა ევრისთეს ლომის მოკვლა, ისე შეაშინა ევრისთე ამ ამბის გაგონებამ, რომ არ იცოდა, რა ექმნა. იფიქრა, ჰერაკლი მე კარგს არაფერს დამმართებსო, ამოათხრევინა მიწა და შიგ ერთი დიდი კასრი ჩაადგმევინა სპილენძისა. როდესაც ჰერაკლი მოვიდოდა ხოლმე მასთან, იგი მაშინვე ჩახტებოდა კასრში და ჩაიკეტებოდა. კასრს მაგარი ლითონის ბადე ჰქონდა თავზე გაკეთებული და ევრისთე იქიდგან ელაპარაკებოდა ხოლმე ჰერაკლის.

მეორედ ევრისთემ უბძანა ჰერაკლის, წასულიყო ერთს ჭაობიანს ადგილს, რომელსაც ერქვა ლ ე რ ნ ა და მოეკლა იქ ცხრა თავიანი ჰ ი დ რ ა. ჰიდრა იყო უზარ-მაზარი გველი, რომელიც ჰბუდობდა ლერნას ჭაობში. ცხრა თავი რომ ესხა, იმ ცხრა თავში რვა მომაკვდავი იყო და ერთი—შუათანა—უკვდავი.

ჰიდრა ხშირად დაეცემოდა ხოლმე ნახირს და აკლებული ჰქონდა მთელი მხარე. ჰერაკლიმ წაიყვანა თან თავის მეგობარი იოლაოს და წავიდა ეტლით ჰიდრასთან საბრძოლველად. როდესაც მივიდნენ ლერნას, ჰერაკლიმ იოლაოს უკან დააყენა ეტლით და თითონ წავიდა ჰიდრის საძებრად. ეძება, ეძება და იპოვნა ერთს გამოქვაბულში. ჰიდრა იქ მოგლაგნილიყო და არ აპირებდა იქიდ-

*) მეომართა ქუდი ლითონისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან გამოსვლას, მაგრამ დაუშინა ჰერაკლიმ ისრები და გამოაგდო გარედ.

გამოვიდა თუ არა ჰიდრა გამოქვაბულიდგან, პირდაპირ დაეტაკა ჰერაკლის. გმირმა სტაცა ყელში ხელი. მაშინ ჰიდრა შემოეხვია ფეხებზე თავის გრძელი კუდით. ჰერაკლიმ წაუშინა ჰიდრას თავებში კომბალი, მაგრამ რამდენი თავიც-კი გაუპო, გაპობილის მაგიერად იმ ალაგას თვალის დახამხამების უმალ ორი სხვა ახალი თავი ეზრდებოდა.

ამ დროს საიდღამაც ერთი უშველებელი კიბოც გაჩნდა და მიეშველა ჰიდრას: მივიდა ჰერაკლისთან და ფეხებზე კბენა დაუწყო. ჰერაკლიმ დააჭირა კიბოს ფეხი და სული გააფრთხობინა. ძალიან-კი უშველა ჰერაკლის მისმა მეგობარმა, იოლაოსმა, თორემ ჰიდრასთან ბრძოლას ბოლო არ მოელებოდა. იოლაოსმა საჩქაროდ მოსჭრა დიდი ხეები, გააჩალა დიდი ცეცხლი და როგორც-კი ჰერაკლი კომბალს დაჰკრავდა ჰიდრას თავში და თავს მოჰგლეჯდა, ის მაშინვე დიდს მუგუზალს დაადებდა და დასწვავდა იმ ადგილს, სადაც თავი იყო მოგლეჯილი, რომ იქ ახალი თავი აღარ გაზრდილიყო. ბოლოს ყველა თავები დააყრევინა ჰიდრას ერთის მეტი. ეს იყო უკვდავი თავი.

ახლა ამ თავს დაჰკრა და დაჰკრა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ესეც მოაცალა. წაიღო მაშინვე ეს თავი და ერთ დიდი კლდის ძირს ჩაფლა მიწაში. მაშინ მოკვდა ჰიდრა. ჰერაკლიმ გასჭრა იგი და ამოაელო იმის ღვიძლში თავის ისრები. ჰიდრას ღვიძლი ისეთი გესლიანი რამ იყო, რომ ვისაც-კი მოხვდებოდა ჰერაკლის ისარი, ცოცხალი აღარ გადარჩებოდა.

მასუკან ჰერაკლი გაემგზავრა არკადიის მთებში და იქ თავი ისახელა სამი გმირული საქმითა.

1. კ ი რ ი ნ ე ა ს მ თ ა ზ ე ერთი ოქროს რქებიანი ირემი იყო, ისეთი სწრაფი, ისეთი ფეხ-მარდი, რომ არავის არ შეეძლო მისი დაჭერა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ცხენი და ვერა ძაღლი მას ვერ მოსწვდებოდა. აი ეს ირემი უნდა დაეჭირა ჰერაკლის და ცოცხალი მიეყვანა ევრისთესათვის.

ჰერაკლი მარტო ძალ-ღონით-კი არ იყო შესანიშნავი, სირბილიც დაუღალავი იცოდა. მთელს ერთს წელიწადს უკან დასდევდა ამ ირემს, შემოატარა მთელი ქვეყანა და ბოლოს დაიჭირა, შეიგდო მხარზე და ცოცხლად მიჰგვარა ევრისთეს.

2. ახლა ველური ტახი უნდა დაეჭირა ერიმანთის მთაზე და ისიც ცოცხალი მოეყვანა. ეს ტახი დიდს ზარალს აძლევდა ხალხს: ყანები სულ აკლებული ჰქონდა. ბევრჯელ მოინდომა ხალხმა მისი მოკვლა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. როგორც-კი გამოუდგებოდნენ უკან შუბებით, იგი დაერეოდა მათ და სულ ეშვებით დაჰგლეჯდა ყველას.

ჰერაკლიმ ახსენა ღმერთი და გაემგზავრა სანადიროდ. იმას ეგონა, ტახი შემომიტევს და მაშინ ესტაცებ ხელს და დავიჭერო, მაგრამ როგორც-კი მიუახლოვდა, ტახი შეშინდა მის დანახვაზე და მოჰკურცხლა. ჰერაკლი გამოუდგა უკან და მთის წვერამდის აჰყვა. იქ ერთს ალაგს დიდი ორმო იყო, თოვლით ამოვსებული და ტახი ჩაეფლა შიგ. მაშინ გააკეთა ჰერაკლიმ სხვილი თოკის ქამანდი, ესროლა, გადააცო თავზე და ამოათრია ზევით; მერე გაიგდო მხარზე და მაღლა ფეხებაფშეკილი წამოიყვანა ტირინთს. უცებ დაინახა ევრისთემ, რომ ჰერაკლის შეუპყრია ეს უშველებელი ტახი და მოჰყავს: ისეთ ნაირად

შეეშინდა, რომ ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ჩახტა თავის კასრში.

3. იყო არკადიაში ერთი ჭაობიანი ადგილი, რომელსაც ეძახდნენ სტიმფალის ჭაობას. იქ ჰბუდობდნენ საკვირველი ფრინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველები, რომელთაც ფრთები, ნისკარტი და კლანჭები სულ სპილენძისა ჰქონდათ, და თავის ფრთებს ისრებად ჰხმაროობდნენ: ისროდნენ ხოლმე ფრთებს, როგორც ისრებს და დასჭრიდნენ თავის მსხვერპლს.

ხალხიც და ცხოველებიც დიდს შიშში იყვნენ იმათ გადამკიდე: ძალიან ხშირად თავს დაესხმოდნენ ხოლმე მათ, დაჰკორტნიდნენ ნისკარტებით, კლანჭებით ხორცს შემოაგლეჯდნენ სხეულზე, შესჭამდნენ და მერე ისევ გაფრინდებოდნენ თავის ჭაობში. ამათ ეძახდნენ სტიმფალის ფრინველებს. ევრისთემ უბძანა ჰერაკლის, წადი და ის ფრინველები გადარეკეო. სტიმფალის ჭაობა ისეთი რამ იყო, რომ კაცი ვერ მიუდგებოდა: ნავით იქ არ შეისვლებოდა, რადგან წყალი ღრმა არ იყო, და ფეხით ვერავინ ჰბედავდა შესვლას, ამიტომ რომ შეიძლებოდა ჭაობში ჩაფლულიყო და დამხჩვალიყო. ჰერაკლი იქ ვერაფერს ვერ გახდებოდა, რომ მას ჰეფესტი*) არ დახმარებოდა. ჰეფესტმა გაუკეთა მას სპილენძის ტკაცუნა და მისცა. ჰერაკლიმ წაიღო ეს ტკაცუნა, ავიდა ერთს მახლობელს მთაზე და მოჰყვა ტკაცუნს. ფრინველები დაფთხნენ და აფრინდნენ მაღლა. მაშინ ჰერაკლიმ წამოაღლო ხელი თავის მშვილდისარს და რამდენიმე ფრინველი იქვე მოკლა; დანარჩენები-კი, რომელნიც გადურჩნენ მის ისრებს, ისე შეშინებულნი იყვნენ, რომ გაფრინდნენ შავის ზღვისაკენ და მასუკან იმათი ხსენებაც აღარსად ყოფილა არკადიაში.

ალ. ჭიჭინაძე

(შემდეგი იქმნება)

*) ჰეფესტი იყო შვილი ზევესისა. იგი იყო მშვენიერი ხელოსანი. მას ჰქონდა ოლიმპოს მთაზე გამართული სამჭედლო, რომელშიაც ოცი საბერველი იყო გაწყობილი, და იქ ადნობდა ლითონებს და აკეთებდა ლითონებისაგან სხვა-და-სხვა ნივთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ნახავდა შაქრო სიზმარში?

ბათენდა თუ არა, ბატარა შაქრო, სოფლის მებატონეს შვილი, მსიარულად გაიქცა მინდორში და თან ფიქრობდა: — რაც მინდორში ყვავილებია, სულ დავგლეჯავ, რაც ხეხელებია—დავიჭერ, რაც მარწყვია—მოვკრეფავ.

გარბის სიცილით შაქრო, უკან არცა-კი იხედება, და წინ მიურბის თავისი მურია.

შაქრო მომკილ ყანაში უეცრად წაწყდა თავის ტოლ ორ ბავშვს, ფეხშიშველებს და მოხმებში გახვეულებს, რომელნიც ნაწვერულში აგროვებდნენ დარჩენილ ბურის თავთავს.

შეეცოდა შაქროს, მივიდა საშველად, იმათთან ერთად გადადიოდა კვალს-და-კვალს და იმათ ხედ ერთი-ორად მალე ივსებდა კალთას ოქროს-ფერი თავთავით.

გარბოდა დრო და შაქროს სრულებით დაავიწყდა ყვავილების კრეფა.

* * *

მინდვრის თავში, სერისაკენ დაკლაკნილი ბილიკი მიდიოდა. ბუჩქნარებში დაუღალავად დაფრინავდნენ ფერადფერადი ჭრელი ხეხელები. ბილიკის ხირას იჯდა ბატარა მეხბორე მარტოდ-მარტო, ცხარე ცრემლით ტიროდა და დაღლილობისაგან სულს ძლივს იბრუნებდა. ხბორები გაჭფანტოდნენ, გარბოდნენ, ხან ბუჩქებში იძალებოდნენ, ხან შორს კლდეებზედ ადიოდნენ და ამათ უკან დევნა-სირბილში ფეხები დასწყვეტოდა საწყალს.

— ნუ სტირი, ბიჭო,—უთხრა შაქრომ,—მე გიშველი, მე მოგიგროვებ ხბორებს.

მართლაც ზოგს ბუჩქებში მოასწრო, ზოგი კლდეებიდან გამორეკა თავის მურიას დახმარებით და ყველანი შეაგროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქროს დაავიწყდა ჰეჰელების დაჭერა და არც სცალოდა მათთვის.

* * *

შუა დღე იყო, ჩამოცხა. შაქრომ დაანახირა მოკლე გზით შინ დაბრუნება, ძაღლიც აჩქარებდა, მობეზრდა ამდენს სირბილს.

ამათ უნდა გაევლოთ ტყე და აკი კიდევ არ დახვდა შაქროს ორი ჰატარა გოგო. ესენი ჩინჩხვარს აგროვებდნენ საღილისთვის. ღილას აქეთია ერთი კონაც ვერ მოეკრიფათ.

შაქრომ შეიბრალა,—დედა გაუჯავრდებათ, საწყლებსო!—და მარდად მოუგროვა ერთი კონა ჩინჩხვარი. შეჭკრეს და შაქროს დახმარებით წაიღეს სახლში.

შაქრომ დღეს მარწყვიც ვერ მოკრიფა.

— საკვლაოდ დარჩეს ჰეჰელებიც, მარწყვიც და ყვავილებიცაო,—სთქვა მხიარულად დაღალულმა შაქრომ, შინ რომ დაბრუნდა.

ძურია ჩრდილში გაგორდა, შაქრო გვერდით წამოუწვა, თავისი ხუჭუჭი თავი ძურიას რბილად დაადო და ტკბილად ჩაეძინა.

ს. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი

ერთი ხელმწიფე თავის მხლებლებით გზას მიდიოდა. ნახა, რომ გზის ზევით მკვდარი ძაღლი გდია და მხლებლებს უბრძანა:

— წადით და ის მიცვლილი მყეფარი გზის ძირს გადმოასვენეთო!

ნაზირ-ვეზირს ეუცხოვა ამისთანა ლაპარაკი და ჰკითხეს ხელმწიფეს:

— დიდებულო ხელმწიფეო, ძაღლი მაგისთანა პატივის ღირსი არ არის, რადა ბძანეთ, გზის ძირს გადმოასვენეთო. „ჩამოათრიეთ“, უნდა გებძანათო.

— მე ჩემს პირს არ ვაკადრებ მაგისთანა ლაპარაკს, თუმცა ძაღლს-კი ეკადრებაო, — უპასუხა ხელმწიფემ.

კეთილშობილური საქციელი

ორ ძაღლს ხიდზედ დიდი ჩხუბი მოუვიდათ, შეეტაკნენ ერთმანეთს და ორივენი ღრმა წყალში ჩაცვივდნენ.

ერთი ძაღლი იმ ჯიშისა იყო, რომელთაც კარგი ცურვა იციან, ამიტომ ამ ძაღლმა იცურავა და გამოვიდა ნაპირას, მეორე ძაღლი-კი დარჩა წყალში.

პირველმა მიიხედა და, რა ნახა, რომ იმის მტერი იხჩობოდა, ისევ უკან დაბრუნდა, პირი ჩასჭიდა კისერში და ამოიყვანა წყლიდამ.

მერე ორთავე ძაღლმა მეგობრულად გადახედეს ერთმანეთს, სიხარულით კუდები აიშვირეს და თავთავიანთ გზაზე წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. ერთი კაცი გემტეროს, სოფელს შეეხვეწეო,
   თუ მთელი სოფელი გემტეროს, მთას გადაიხვეწეო.
2. შემოვიარე ავჭალა, პური არაეინ მაჭამა.
3. დილის შარი სჯობია, საღამოს სარგებელს.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ს. დათეშიძესაგან წარმოდგენილი)

ერთი რამ არის ხმიანი,
უჩინარი და ფრთიანი;
ცა და ხმელეთს სულ დაივლის,
რომ მოუნდება ტრიალი,
მას კაცი ვერ დააკავებს,
ამოღებული ხმლიანი.

ორი ორნავი მოვიდა ოცდა ათითა კაცითა,
შიგ იჯდა ორი ირემი თეთრითა მოკაზმულითა.

დათვი სჭამდა—ყლაპუნებდა,
მასხიტელა ხმას უვდებდა.

ერთი რამე საქონელი მთას არის მაღლა ბევრია,
არცა ზამთარ, არცა ზაფხულ მის ფურცელს არა ენებია;
ერთი ალო მასც მოუვა, თაყვანს სცემს ყველა ერია,
მაშინაც გაგახსენდება, ხელში რომ მოგცემს მღვდელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ მ ა

(მისგანვე წარმოდგენილი)

ხარ მუხანათის სოფელსა,
წახვალ და წაბლიკინდები;
სოფელშიაცა ფრთხილი ხარ,
მოამბეთ ბეერნი დარბიან;
ენა ძვირ მოლაპარაკე
ხელმწიფე ლამაზათ ენახე.

სამათემატიკო გამოცანები

(დათეშიძესაგან წარმოდგენილი)

ერთი ფეხ-მოტეხილი ბატი შეხვდა გზაზედ ბატების ჯოგსა და უთხრა:

— გამარჯობა თქვენი, ასო ბატო!

ამათ უპასუხეს:

— გაგიმარჯოს, მაგრამ ჩვენ ასნი-კი არა ვართ; ასნი მაშინ ვიქნებოდით, შენც რომ ჩვენ მოგვემატოვო, ერთი ჩვენოდენი და კიდევ ნახევარიო.

რამდენი ბატი ყოფილა ჯოგში?

(ტფილისის საქალაქო სასწავლებლის მოწვეის მ. ცაგარლის წარმოდგენილი)

სამ ძმასა ჰყავდათ 30 თხა. 10 თხას ჰყავდა სამ-სამი ციკანი, 10-საც ორ-ორი და დანარჩენ 10-საც თითო ციკანი. ახლა ისე გაუყავით ეს თხები თავის ციკნებით ამ სამ ძმას, რომ თვითეულ მათგანს თანასწორედ ერგოს და მასთანვე ისე, რომ არც ერთი ციკანი თავის დედას არ მოშორდეს.